

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწვრალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლება-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუნძული ქართველი



კოლეგი ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ტობად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 35

2020



მთ. რედაქტორი

ნააოლეონ ლემონჯავა

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, აფხა-
ზეთის მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-842-7 (35 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის ამონდობა – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მოწოდებული და „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაჟა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ტომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის არმიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მარის ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონსილისტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო კაკადემიის ვიცე-კონსილისტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეობე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხე-კარეზიდენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მღერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მგრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ყელასგან იაზონება მედვეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეტმა იქროს საღმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონინდები სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახვეწილული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიან შესვები ყოველ შეპას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

შინასიტყვაობის მაგიერ

(გაგრძელება)

ლირიკული გმირის მხნე განწყობილება მომავლის მტკიცე რწმენა დახატულია ლექსში „ქართული ხმალი“.

*

„მიკაფ-მოკაფა უღრან გზაზე

მტერი ურიცხვი,

სად არ ელავდა ხმალი ქართული,

მაგრამ მაინც გერ დააჩლუნგა

დიდმა ომებმა

და ისევ ბრწყინავს

სხივშემართული –

ოცდამეერთე საუკუნის მისადგომებთან“.

(ვაი, რომ მთლად ისე არ არის, როგორც პოეტს
სურს!)

ავტორთან ერთად მადლიერი მკითხველიც ნეტა-
რებს, რადგანაც აქ მრავლისმთქმელადაა დახატული



ხალხის ლომგულობა და ქედუხრელობა. გულლომი
ლირიკული გმირი ღვთიურ ხოტბას ასხამს საქართვე-
ლოს, ქართველ ხალხს და სავსებით დამსახურებუ-
ლად ქადაგებს უკუნით უკუნისამდე მის უკვდავებას:

*

„ვეღარ აღგავეს მიწის პირიდან,
ცეცხლში ისროდნენ...
ბნელში ნისლავდნენ.
ზაფხულ და ზამთარ
დღისით და დამით,
მტერს და მოშურნეს შეაყარა თვალში
ნაცარი...
პატარააო! იყოს, რაც არის,
აწ და მარადის,
უკუნით უკუნისამდე...
ამინ!“

ასეთი ნაწარმოებით, ხალხისათვის თავდადების
ბრძოლის სურვილით განაწყობს პოეტი თანამემამუ-
ლეებს და ნათელი მომავლის იმედს განუმტკიცებს.

ვაჟა ეგრისელის მხატვრულ სამყაროში რეალო-
ბის ბევრი საგანი, ბევრი მოვლენა გვხიბლავს ორი-
გინალურობით. აი, როგორ გადმოგვცემს პოეტი მა-
მულის სიყვარულის უწმინდეს განცდას:

*

„მამულო ჩემო,
მუდამ გვფარავდეს



ჯგარი -

ლაშარის,

ხატი -

ხახულის,

და გორგასალის ფარ-მუზარადი.

მე სიყვარული შემონახული

მაქვს

და მექნება შენოვის მარადის“.

აქაა სამშობლოს სიყვარულის ჭეშმარიტი განცდა. პოეტის ფიქრისა და განცდების გადმოცემის ბრწყინვალე დადადისი. იშვიათად შეხვდებით ლექსს, სადაც მედიტაცია ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულისა ასე ორიგინალურად ეხამებოდეს ლირიკულ „მე“-ს. მწამს და მჯერა, რომ დღესაც და მომავალშიც პოეტის მოღვაწეობის ორიენტირი, მისი ზნეობრივ-ეთო-კური და ესთეტიკური ხატი საქართველო იქნება.

სამუდამოდ რომ აქვს გაუა ეგრისელს შეწოვილი და შესისხლხორცებული ჩვენი სახელოვანი წარსული, ეს ყველაზე მეტად სხივნათელი წინაპრებისადმი დაწერილ ლექსებში გამოვლინდა. ეს ლექსები, ჩემი ღრმა რწმენით, სილამაზის, სიკეთის, გმირული სულისკვეთების, ამაღლებული მშვენიერების ჯადოსნურ სამყაროს გადაგვიშლის და სარგებლობას მოუტანს ეროვნულ ფასეულობებზე გულაყრილ ახალგაზრდობას.

ამაღლებული იდეალების, მშვენიერისა და გმი-



რულის ფესვები ყოველთვის ეროვნული წიაღითად ნასაზრდოები. პოეტის ოცნების ორიენტირი ყოველთვის ეროვნულია და იგი ბოლომდე ერთგული რჩება წმინდა ადამიანური ღირებულებებისა, რომლებიც ანტიკური სამყაროს გენიამ და ლეგენდარული კოლხეთის გმირულმა წარსულმა შეა. ეს რწმენა XXI საუკუნის გარიურაჟის ადამიანს სჭირდება....

ვაჟა ეგრისელის მხატვრულ სამყაროში ბევრი ლექსი თუ სტროფი უნებურად გვაგონებს მზის სხივებით ნაქარგ თუ მთვარის ვერცხლისფერი ძაფებით ნაქსოვ ზღაპრულ სალიჩას. თითოეული ლექსი მისი ხელიდან თვალსა და ხელს შეა იშვა, გამოვიდა და გადმოხეთქეს ჯადოსნურმა ფერებმა. თითქოს წინაპრები ავალდებულებებენ პოეტს წარსულის სურათების გაცოცხლებას, ვინაიდან წარსულის გარეშე არ არსებობს აწმყო და ჩვენს მხოლოდ ჩვენი წარსულის ღირსეული მემკვიდრენი ვართ. ვაჟა ეგრისელის პოეზია აქვეყნად სიცოცხლის განმტკიცებაა, ადამიანის სულის ღიმილი. გვახსენდება ლექსი:

*

„სიცოცხლით და სიყვარულით
მათ მამული დაიწინდრეს,
და რაც სწამდათ,
სწამთ ისევე:
მარტყოფელთ და ერთაწმინდელთ,
წყნეთელებს და წავკისელებს“.



პოეტს ღრმად სჯერა და სწამს ის პირუთვნელი ჭეშმარიტება, რომ დირსეული წინაპარი ერის სამო-მავლო გზის ნიშანსვეტია, რადგან ისაა შუამავალი წუთისოფელსა და საუკუნო სოფელს შორის.

ჭეშმარიტ პატრიოტს აუცილებლად ძლიერ შე-უთოთოლდება გული მაშინ, როცა წაიკითხავს ამ ტკბილსევდიან სტრიქონებს:

*

„შურმა და მტრობამ და სიძულვილმა,
ჭირი შეპყარა ხახულსა და ზარზმას,
და ციხე-კოშკებს გულებზე კვლავ გაუჩნდათ
ბზარი.

კმარა!..

სამშობლო! –

იქუხა აზრმა,

აწ სიყვარლის შემოვკრაო ზარი!“

აქ ულმობლადაა მხილებული და სასტიკად დაგ-მობილი მტრობის, ქიშპობის, ქვემძრომობის, მლიქნე-ლობის ოსტატები. გულნაღრძობი თანამემამულენი.

გულდამწვარი მგოსანი წყევლა-კრულვით წერს, შურისა და მტრობის, სულბნელი, სულაყეფებული თანამემამულების, კაციქამიების შესახებ. ლექსში ჩაღრმავებისას თითქოს გვესმის კვნესა-ვაება ქარ-თველი ხალხის ბედუკულმართი ცხოვრების გამო.

საქართველოს ნათელი მომავლის გარდაუგალო-ბისათვის ბრძოლის სურვილითა და ფაქიზი სიყვარუ-



ლის გრძნობით გამობარია ვაჟა ეგრისელის ის ლექ-
სები, რომლებიც ახალი თაობისადმია მიძღვნილი, აქ
არ შეიძლება არ გაგახსენდეს ვაჟა ეგრისელის წიგნის
მარადეამს უჭირნობი, გაუხუნარი ეს ზურცელი:

*

„ჩემს ყევარ ბიჭებს –
ზურაბ და დაჩი –
მე ახლა მხოლოდ თავისუფლად
სიარულს გაჩვევთ,
ვით გაუხედნავ თვალსაცერა პატარა ბუღებს,
მაგრამ სულ მალე დიდსა და მძიმეს –
მე საქართველოს სიყვარულის
დაგადგამთ უდელს,
აბა, თქვენ იცით, თუ როგორ გასწევთ“.

ვკითხულობთ რა ვაჟა ეგრისელის მიერ საბუთა-
რი შვილებისადმი მიძღვნილ ლირიკულ ლექსს, აუცი-
ლებლად გაგვახსენდება ბრძენი ილია ჭავჭავაძის ნათ-
ქვამი: „ერი თავისი სულით და გულით იმ ტურფა სა-
ბალნაროსა პგავს, საცა რუსთაველის სიტყვით ერთი
მიდის და მის მაგიერ სხვა მოდის, თვითონ ბალნარი
კი არის და არის მუდამ მწვანე, მუდამ დაუჭირნობელი,
მუდამ ყვავილოვანი, ია-ზამბახ-ვარდგაშლილი“.

„რკინის მკვნეტავ და საცრისთვალება –
ჩვენს დიდ წინაპარს
თავზე მუმლივით



ეხვია მტერი ავი, ურჯულო.
მოკვდა და...
მიწის ცივ სიჩუმეში –
ხელში ფარ-ხმალი აქვს ჩაბლუჯული“.

ეს ლექსი რომ წაეკითხა აკაკი წერეთელს, ვაუ ეგრისელს აუცილებლად მიუძღვნიდა თავის გენიალურ ნაწარმოებს „თქვენი ჭირიმე“, – წერდა აწ განსვენებული პროფესორი ჯოდორ დადიანი.

სახელოვანი წინაპრებისა და ლირსეული მემკვიდრის ლექსები ერის საბრძოლო სულისკვეთებით დამტკიცებული და მრავალჭირგამოვლილი ქავენის საბოლოოდ აუცილებლად გამარჯვების ნუბეშმცემელი, წარუვალი ჰიმნია.

ილია ჭავჭავაძე გვასწავლის, რომ მამულისათვის თავდადებულ გმირებს, ჭეშმარიტ პატრიოტებს წარმოშობს და ავაშკაცებს ხალხის ცხოვრების წიაღი: „იქ კი, საცა ეგ მადლიანი ძალა შემოქმედებისა აღძრულია, ადამიანი გრძნობს, რომ იგი შვილია გუშინდელისა, მოჭირნახულეა დღევანდელისა და დამბადებელია ხვალისა. წარსული, აწმყო და მომავალი ერთ რთულ დაურღვევებულ ჯაჭვად მიაჩნია და იმ ჯაჭვში თავისი თავი რგოლად, წინასა და უკანაზე მტკიცედ გადაბმულად. მაშინ ადამიანი თავის თავს მართლაც და ადამიანად სცნობს, ეგ ცნობა საკუთარის თავისა დირსებას უდვიძებს, ჩაგრულ ყოფას ვერ ათმენინებს და დამკლავებული გამოჰყავს ცხოვ-



რების მოედანზედ საომრად და საბრძოლველად. გმირებს, სახელოვანს კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას – ეგ შემოქმედებით ძალი ცხოვრებისა პბადავს“. ეს წარუვალი დებულება შეგნებულად შეუსისხლხორცებია ვაჟა ეგრისელს, რომლის მხატვრულ ნაწარმოებში წარსულის, აწმოსა და მომავლის ურთიერთკავშირის, პარმონიულობის აუცილებლობაა ჩაგვირისტებული.

ვაჟა ეგრისელი რამდენიმე ლექსში დიდოსტატურად ხატავს ქართველის თავგანწირულ ბრძოლებისა და მის საარაკო შრომისმოგვარეობასაც. პოეტი გვახსენებს, რომ ქართველი ხალხის ცხოვრების ქაკუთხედი იყო შეგნებული და თავდადებული შრომა, რაც მას მიაჩნია უდიდეს და უწმინდეს მოვალეობად, ამ მოსაზრების ნათელი ილუსტრაციაა ლექსი „ვარძია“.

*

„ცეცხლის მახვილით
საქართველოს მოკლეს
წარსული –
მტრებმა?
და მერე თითო ნაჭერი
დარჩა ხალიფას,
შაჰსა და სულთანს?
მაშ,
რად მოისმის წარსულიდან ხმები
საჭრეთლის,



ქვის ტალანებში რად სალბუნობს
წარსულის სუნთქვა“.

დიახ, „წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმუნ-
სი, როგორც აწმუნ მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა
ხანა, უამი, ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბ-
მული, რომ ერთი უმეორეოდ წარმოუდგენელი, გაუგმ-
ბარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი
ბრძნისაგან, რომ აწმუნ შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა უამთა ერთმა-
ნეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეუცელუ-
ლი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური
კანონი“.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ნამდვილ პოეტს
ძლიერი ემოცია აწერინებს ლექსს. ძლიერ ემოციას
კი ძლიერი გრძნობა ჰქონდებს. მაისის ვარდებივით
ჰყვავიან ვაჟა ეგრისელის ლექსები, რომლებიც
მთლიანობაში შეიცნობა. აქ მუსიკა, ფერი, სიტყვა
ერთ განუყოფელ შენივთულ სამებად გვესახება და
ამოუწურავია, გამოუდევველი გაგებისა და თანადგო-
მის, თანაგრძნობის საუნჯე, ნაბოძები პოეტისათვის
დვთიური სიყვარულით და მაინც ბედნიერად
გრძნობს თაგს, რამეთუ:

*

„ომი...

ყიუინა მეციხოვნეთა...



სამშობლო მიწის ბალახის ღერი –
ებნიათ გულზე ჩვენს დიდ წინაპრებს.
და მათი კვნეხა...

ზღვის მოთქმა და
წუხილი მწერის,
ისლით დახურულ ფიქრთა ჭერქევშ დავაპინადრე“.

თითოეულ ხესა თუ ბუჩქში, ყვავილთან თუ ბალახის დეროსთან, შვილსა თუ მშობელში, დასა და ძმაში, ამხანაგში, წინაპარსა და მომავალ თაობაში, სამყაროს ყველა ძარღვში ხედავს პოეტი მამულის ხატებას და მთელი არსებით ემსახურება სიკეთისა და სათნოების მაღალი ზნეობრიობის ჭეშმარიტ საქმეს.

*

„მწუხირიდან –
დილამდე
მამა-ღმერთი,
აშკარად და ხან ფარულად,
ოქროს ქვიშა ნარევ ვარსკვლავებს –
ცის დიდ საცერმი ცრის.
მზის და მთვარის სიყვარული –
უსასრულობაა ცის“.

ცნობილი კრიტიკოსი გერონტი ქიქოძე წერდა:
„მისი თვალები ბუჩქების მოვლენათა გადამდები აპარატია, ისეთივე ობიექტური, როგორც კამკამა ტბა,



რომლის ტალღებში მთის მწვერვალები და ბუჩქის
ძირები ერთნაირად გამოსჭვივიანო.

ვაჟა გარისელის ლექსები გხიბლავს და დიდ-
ხანს მოგყვება სიამოგნების გრძნობა. მისი პოეზია
სევდაა ნეტარი, შვებაა მწუხარე და ნოსტალგიაა
შორეულის გამოხმობისა. ის ხალასი პოეზიაა, რო-
მელსაც ხალხის გენია წარმოშობს. ის განსაკუთრე-
ბული მოვლენაა ჩვენს ქართულ სინამდვილეში, იგი
მუდამ გაგვაოცებს თავისი შემოქმედებითი ენერგი-
ოთ, ტალანტით, მხატვრული მრავალსახეობის გამოვ-
ლენით, – ჯერარსმენილი მოტივებით, ინტონაციები-
თა და კეთილხმოვანების სასწაულებით:

*

„ყველა ერთად ავისრულე,
თუ მქონია რა სურვილი,
რადგან შემწედ კვლავ მყავს
ქრისტე.

სიყვარულით დაისრული –
სტრიქონს ელვით ვაგვირისტებ“...

ამ სტრიქონების მიღმა ჩვენი გამოჩენილი პოე-
ტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ფურცლებია. თავ-
დაუზოგავი და შემართული შრომით, პოეზიის უსახ-
ლვრო სიყვარულითა და პროპაგანდით, სიახლის
მუდმივი ძიებით.



თუ თვალყურს ვადევნებთ ვაჟა ეგრისელის შე-
მოქმედებას, შეუძლებელია სიამაყით არ აღვნიშნოთ
მისი სულიერი სიმდიდრე და მშვენიერება. პოეტი
ნამდვილად გულწრფელია მაშინ, როცა ხსნას მამუ-
ლის სიყვარულში ან მისდამი ერთგულ მსახურებაში
ხედავს:

*

„ვით აპოლონი ან ვით ჰერმესი,
მსურს რომ სიყვარულს
ვთესდე ან ვმკიდე
და სანთელივით ასე დაგიწვა.
მოხსენით მზე და...
მზის მაგიერ
ჩემს გულს დავკიდებ
და მწამს გაათბობს მთელ დედამიწას“.

პოეტი აღსავსეა მზის ენერგიით, უფრო მეტიც,
იგი მზის შვილია, ლაქვარდისა თუ ქარის ძე, ამიტო-
მაც ბედნიერია, რამეთუ მისი ფიქრები მსოფლიოს
უკიდეგანო საზღვრებს გადასწვდენია:

*

„მე ხელისგულზე მიდევს სამყარო,
მზის ენერგია ჩემშია და
არ ვარ უძლური.
ჩემმა ფიქრებმა შემოიარეს –
დედამიწის ყველა კუთხე,



უველა კუნტული,
რომ ოდნავ მაინც მოაშუშონ არსოთა იარა“.
ეს სტრიქონები დაუნჯებული ადამიანის ფიქრისა
და აზრის შედეგია, რომელიც გულწრფელობისა და
სიმტკიცის, რწმენის პოსტულატად აღიქმება. პოეტის
ამაღლებული გრძნობით ანთებული, ჭეშმარიტად რო-
მანტიკული სული იმორჩილებს ვნებებს და საკუთარ
ძალებში ღრმად დაჯერებული, კარგად დაცულ ციხე-
სიმაგრეს აღმართავს თავისი საკუთარი სულის ფა-
რულ მწვერვალებზე. საქართველოსადმი განუმეორებუ-
ლი სიყვარულის ძალა ასაზრდოებს პოეტის სულსა
და გულს, მთელ მის პოეტურ ცნობიერებას:

*

„მე ვარ ბატკანი,
შენდა ზვარაკად,
შენი სიყვარულის ხეზე მიბმული,
როდესაც გიჭირს
მადევს მგლისფერი.
სხვა არაფერი...
შენით ვდიდგულობ;
სამშობლოვ ჩემო!
შენი მიწის და ფეხის მტვერი“.

აქაა ჭეშმარიტად ადამიანური ვნებები, სიყვარუ-
ლი, სასოწარკვეთილება, აღტაცება, სწრაფმომდინა-
რე წყურვილი ტრფობისა და დაუვიწყარი პლასტიკუ-



რი სრულქმნილება, რომელიც მამულისადმი უიშვია-
თესი სიყვარულის გრძნობითაა გადმოცემული.

*

„თითქოს და ჩიტის ბუდეა დამე –
მოწნული ელვით და
ღრუბლების ბალახით,
მოვარე დედაჩიტობას იჟინებს,
ჩეკს და ჩეკს მნათობებს...
და მერე სხივებად,
ჩამოდის ჩვენამდე იმათი ჟივევივი...“

აქაა პოეზიის ფანგაზიის მაგიური ხელისშეხე-
ბით დახატული სიცოცხლის სიყვარულის მომხიბ-
ვლელობა. დამე – ჩიტის ბუდეა და დედაჩიტის –
მოვარის მიერ გამოჩეკილი მნათობები ოქროცურვილ
სხივებად ეფინება დედამიწას...

„ვაჟა ეგრისელის პოეზიის თემატიკა მრავალფე-
როვანია, პოეტს აწუხებს საკაცობრიო ტკივილები.
დიდ ადამიანთა მძიმე ხვედრი. ჯორდანო ბრუნო და-
იწვა საკუთარი რწმენის კოცონში“. ფუჩიკი აწამეს,
შავი ნილოსი გლოვობს გმირ მამლუკებს, რომელ-
თაც „ცივი დიდება და ვაშპაცობა ცად აღიმართეს
პირამიდებად. „ხშირია მგზავრობა წარსულში“, ამ-
ბავთა მოზაიკა, ისტორიული მოვლენების გაელვება.
„ყელგამოდადრულ ომებიდან მოისმის ქშენა ბრძო-
ლით დაღლილ მიდიელთა და ქალდეველთა, და ჩა-



მონგრეულ ციხის კედელთან, ვით მეციხოვნე, თვლემს დაღლილი სისხლი და რწმენა“.

უნდა ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელის პოეზიაში, საღლაც გაიელვებს გამოჩენილი რომანტიკოსი პოეტის შთაგონების ექო.

გრიგოლ ორბელიანის მარადებამს უკვდავი პოეზიის შთაგონებით ბრწყინვალე ლირიკული ნაწარმოებების დაწერა მეტისმეტად ძნელია, მაგრამ საამაყოა, სასიქაღულოა, რადგანაც გრიგოლ თრბელიანი მრავალგვარად სახელოვანი კაცია. „კაცი, რომელზედაც ერთს ევროპულს გაზეთში ნათქვამი იყო, რომ ერთი უდიდესი ლირიკოსია ამ მეცხრამეტე საუკუნეში. სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი ისე გვგონია, რომ გრიგოლ ორბელიანს, როგორც პოეტს, წინ ვერავინ გადაურბენს ჩვენში, ამ მეცხრამეტე საუკუნეში“.

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებით შთაგონებულმა „გრძნობა-გონება გაწმენდილმა და გაფაქიზებულმა“ ვაჟა ეგრისელმა ზეციური მადლი შთაბერა თანამემამულეებს სულსა და გულში. მსჯელობდა რა ამ საკითხის შესახებ, აწ განსვენებული პროფესორი ჯოდორ დადიანი წერდა:საინტერესოა ვაჟა ფშაველას მოსაზრება, რომელსაც ეტალონის მნიშვნელობა აქვს. სახელვანთქმული მწერალი თავის ლაკონურ სტრიქონებში მართებულ დასკვნებს აკეთებს: „ჩვენში ძალიან სათაკილოდ და ვითომ ნიჭის დასამცირებლად მიაჩნიათ მწერალზე სხვისი გავლე-



ნა. მე კი ეს წესიერ, საღ, ნორმალურ და აუცილებელ მოვლენად მიცნია იმ კანონის ძალით, რომელსაც პქვიან კანონი თანდათანობისა. აქ საკვირველი არა არის-რა, გამოჩენილი რუსების კრიტიკოსი ბელინსკი, განა ტყილად ამბობს სახელოვან რუსეთის პოეტს პუშკინზე: რომ დერუავინი არ ყოფილიყო პუშკინიც არ იქნებოდა... ზემოქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უამისოდ მწერალი, ცარიელი, უშინაარსო არსება იქნებოდა. ზღვაში ბევრი სხვადასხვა წყალი ერევა, მაგრამ ზღვას მაინც ზღვა პქვიან და ზღვაც იმიტომ არის, რომ ყველა იმ მდინარეთ იტევს, ისისხლხორცებს და საკუთარ დიდებულ სახელს არ ჰყარგავს“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ერთ-ერთი ნიშანდობლივი მახასიათებელი ის გახლავთ, რომ აქ საჭიროებისამებრ გაპიროვნებულია ისტორიული ფაქტები, მოვლენები, რეალიები.

ტიპობრივი ისტორიული თემატიკა დომინირებს ლექსში „და ახლა მტკვარი“:

*

„კრწანისის ველზე
მწუხარებად
დგას ობელისკი
და არაგელთა სისხლისფერი
ყაყაჩო ყვავის.
ჟამი კი ცაზე —



მზის ცალ ბორბალს
კვლავ მიაგორებს.
და ახლა მტკვარი,
მღვრიე და შავი,
ჩემი სამშობლოს –
ბედუკულმართ წარსულს
მაგონებს“.

პოეტმა ვაჟა ეგრისელმა ამ შესანიშნავი ლექსით
გაგვანდო ბუნებასთან სიახლოების ცხოველი განცდა,
პოეტს აწვალებს კრწანისის ველზე მდგარი ობე-
ლისკი, სისხლისფერი ყაყაჩოების ხილვა. ამ უმწეო,
მაგრამ თვალწარმტაცი ყვავილის ხილვით, პოეტმა
თითქოს მიაგნო უხილავს და ჩვენც გვაზიარა ამ სი-
ლამაზის ჯადოსნურ საიდუმლოს: „და არაგველთა
სისხლისფერი ყაყაჩო ჰყვავის“.

ციალა მასხია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



ერთურთს სდევენ ლურჯ ნაპირთან –
ზვირთთა თეთრი
ბელები და ბობერები,
ცა, ვით დედა, უთვალთვალებს,
ვარსკვლავების ოქროს ტახტზე
ჯდება მთვარე,
ვით მგოსანი ჩანგის ყელის მოდერებით.

1963

080

კარგი დღეები,
 ობლის პვერივით,
 ვარსკვლავთა მიმქრალ ნაკვერცხლებზე
 ნელა ცხვებიან,
 სიცოცხლის გზაზე თუმც ნათელი
 ბნელმა დანისლა,
 და მაინც რა ქნას ძემ –
 ადამისამ,
 ერთადერთს –
 იმედს, ვითარცა მზეს,
 მიფიცხებია.

1979



გაიელვა მეტეორმა
და გაბარჯდა დამე –
მუხად,
ვარსკვლავებმა იწყეს როკვა,
ნათელს –
ოქროდ გადმომქუხარს,
ცამ შეუდგა მთვარის კოკა.

1995



პატარა ჭალლა

ქვიშაზე ყრია მარჭვალი ქაფის,
 სურს,
 მაგრამ ვეღარ ამოდის მაღლა,
 ნაპირს უკოცნის დაღრეჯილ ლაშებს –
 შორით მოსული –
 პატარა ტალღა,
 ღონემიხდილი, ცივი და მლაშე.

1959



33

ოცდაცამეტს –

ქრისტეს ასაკს გადავცილდი...

რა ვქნა ჩემო!

წელს, ვით ელვა, მისდევს წელი,

მიწა კი ცას –

ვარსკვლავების კერტებიდან,

რძეს კი არა,

სულმთლად რძისფერ

ნათელს წველის.

1974



8000

რვაათასი წლის იქიდან,
ამორძალთა ვისმენ კივილს,
სელევებს¹ და სეზოსტროსის² –
იძირება წყალში ტივი,
იბერთ სისხლით იღებება –
კამპამა ტბა –
მეოტიის³.

1967

¹ სელევებს – ძველ იბერთა მეფე (დაახ. 7500წ.)

² სეზოსტროსი – ეგვიპტის მეფე (დაახ. 7500წ.)

³ მეოტიის ტბა, შავი ზღვა. (ზღვად იქცა დაახ. 7500 წლის წინათ.)



ჩვენი სულის საფლავი

სანამ თეთრი დღეები,
ლურჯი ორქიდეებით,
ყოფნას –
მტკერში დაფლავენ,
მანამ ჩვენი სხეული,
არის ცისკენ მზირალი –
ჩვენი სულის საფლავი.

1981



მაშინ შავი ზღვა

ნაპირთან მსხდარი ლოდები,
გიო ადრე,
ახლაც სდუმან,
მაგრამ შოორეულ წარსულს,
როცა იგონებს კოლხთა,
მაშინ შავი ზღვა ჩუმად,
ისევ უმატებს ოხვრას.

1967



დედამოკა

ვითარც მუმლი მუხხასა,
შესევია ჩემს კოლხეთს,
ოურმე მტერი უხამსად,
კოლხმა რაინდებმა კი,
ციხე-გოჯის კედელთან
წამს რაშები მოკაზმეს...
გვიყვებოდა ლეგენდას –
მამა “დედამოკაზე”.*

* დედამოკა – ფეხმიმე ქალი (მეგრ.)



დავით აღმაშენებელი

იყო დრო, როცა ხაფი “ზახილით”!

უგალი გზით და ბილიკებით

მტერს რომ შეფსკვნიდა,

და აწ მოხუცი...

და აწ ხნიერი,

ღამით გადმოდის ის გელათის

საყდრის ფრესკიდან

და მიდის დიდგორს,

და ბრძოლის ველს ათვალიერებს.

1991



ჩემი სამეგრელოს მთები,
თოვლის წვერს რომ მოუშვებენ,
იქცევიან წამს მოხუცად,
დაეძებენ გზას ახლებურს,
და უწვდიან ხელს –
კოლხურ ცას,
ხვიჩა – ხვიჩა ვარსკვლავებით
დასახლებულს.

1964



გარსეპვლაგების ნიაღვარი

სადღაც,

ზესკნელს მიკარგული,

სულ პატარა,

ერთი ციდა –

მთვარე სივრცეს თვის სიობლეს

მიაბდავლებს,

ადიდებულ,

საქართველოს მაღალ ციდან,

კვლავ გადმოქუჩეს გარსეპვლავების

ნიაღვარი.

2000



პპირტი

აპრილს ვარდებში უწევს –
ჩემი ედემის ბაფი,
ნიავი აკვანს ურწევს...
პირს ადებს თოთო ქვირტი,
თითქოს და ამბობს –
აღუ!

1954



პოლსი და ფშაველი

როდესაც მამრთაგან არ დარჩა არავინ,
როდესაც საკლავი,
თვით დაკლა სანათამ,
როცა პოეზიის მინდვრებში შებინდდა,
მაშინ ის –

ფშაველი
ქართლს მოდგა მთებიდან,
კოლხი კი ზღვიდან და...
წყვდიადი განათდა.

1997



ცას და მიწას შევეხიდე

გადამლილი კიდით – კიდე,
ზღვაა –
ჩემი საესავი,
ვარსკვლავები მერე კიდევ,
შუბისტარზე მდგარ
მზესავით,
ცას და მიწას შევეხიდე.

1966



საცხოვის, სანიპების, სუბარების

შოთორეულ წარსულში,
 ადდგომის კუნძულზე,
 მცხოვრები კოლხი –
 ვარსკვლავით უბარებს:
 სანებს,
 სანიკებს
 და სუბარებს,*
 რომ გაცდნენ მთოვარის მოსახვევს,
 ისინი მიწაზე –
 პირველი დაეშვნენ,
 ვითარც ცისიერი მოსახლე.

1971

* უძველესი კოლხური (ქართველური) ტომები



ხ ი რ მ ს ი ა

“შარტო გულია პოეტი.”

რენე შენიე

პოეზიის ატომგულით,

დედამიწას რატომ ვუვლი?

როს მთიები ნახირობს!

შენ გხმობ, ხიროსიმა,

ხიროს...

ლექსებს მეც კწერ მარტო გულით,

მეც სხვებივით ვჯახირობ.

1956



800 ფრაგი პიკლოპი

მთიდან გადმომდგარი,
ვით ფშავი პიკლოპი,
შენ ხარ პოეზიის ტარიგი,
წუხილის ნატეხით
და ჭიქა ღვინოთი,
სოფლის შარაზე სიკვდილი მიმოდის –
საფლავებსა და
ცრუმლებს არიგებს.

1991



გაზაფხული

პვირტებს პირი დაუღიათ,
ტყეს სიმწვანე
უჩქეფს ხიდან,
ცივ წყაროთა დიდინია,
და იები –
ბუჩქებიდან –
მკრთალ სილურჯეს იღიმიან.

1960



ლაპო

საქართველოს ლაუგარდოვან –
 ციხ და მიწის
 მგალობელი,
 მე გახდავართ ჩიტი დაჟო*,
 უფალი მყავს მწყალობელი,
 უნდა მალე ვირიჲრაჟო.

1956

* დაჟო – ბულბული, მაფშალია (მეგრ).



შიშის ტოტზე შემომჯდარი

ელვა,

ჰექა და ქუხილი,

აღარ აკრთობს ზეცის ახოს,

გაფოფრილა –

მზე კრუხივით,

და დასავლით ხვატს და სიცხეს

მიკრიახობს...

1961



შეს ნაწილზე ჩამოვიხტო თავი

ზღვა ნაპირზე ბრაზით სცემდეს
ბოლთას,
გვარიდებდეს თვალს
მოვარე მორცხვი,
მსურს, იქ – სადაც შენი სუნთქვა
ჰყვავის,
ამაყად მდგარ –
შუა ორი ბორცვის,
შენს ნაწილზე ჩამოვიხტო თავი.

1986



ოცნების ქალაქი

ჩამავალ მზით გადმოსული –
ეკიდება ფიქრი ალად,
გზას მშვენიერს
და ახლებულს,
ვჭვრებ ოცნების
ლამაზ ქალაქს,
ღმერთებით და ვარსკვლავებით
დასახლებულს.

1977



ცა – სამართლის თამარის

წამით წარსულს რომ გვინათებს

ელგა –

სულია თამარის,

მისი ხმა – დილის საარი,

და საქართველოს ცა არის –

მეფეთა – მეფის სამარე.

1979



ძირონი

ღრუბლები კი –
ფიქრებია,
მოვარე –
დამის აზრი არის,
უსაზღვრო და უნაპირო,
ვით ჰერაკლე,
ბრძენთა გონს რომ მაზიაროს,
კვლავ დაგეძებ კენტავრ ქირონს.*

1958


* ქირონი – სიბრძნის მაზიარებელი.



გილარი დაგითს

ჩემს სამშობლოს ღირსეულიდ,
რადგან ვედარ ვუგალობე,
ვითარც დავითს,
მეც დამადგით გულზე ფეხი:
საქართველოს –
უპირველეს –
ჩანგის მპყრობელს.

1976



არც ხეთები, არც ხათები

(საქართველოს)

გკლავდინენ,

მაგრამ ვედარ მოგკლეს,

ვისიც გეწყო მკერდს თათები –

აღარ შერჩა ჟამს არც ერთი:

არც ხეთები,

არც ხათები,

ბაბილონი და სპარსეთი.

1991



მეცნ კარა – ინდაში

ნანას ტაძრის ამგები –
მეფე კარა – ინდაში*,
ვინ იცოდა აქამდის,
რომ ის იყო ხელმწიფე
შუმერის და
აქადის.

1963

* კარა – ინდაში (პროტო ხანდი) ბაბილონის იმპერიის მეფე (1470 ძ.წ.აღ.)



მზა ადგას ღამის სამზეოს

ცით ჩამოსული წყალობად –
ნათელი დილის ნამზეა,
ყრია ღრუბელში –
ბელტებად,
მზე ადგას დამის სამზეოს
და მთვარის –
თეთრი სვეტები.

1984



დღეს საქართველო თითქოს ჯუნგლია
და სიძულვილის
არ ჩანს ნაპირი,
მმას არ სურს ძმისთვის
თვალის შევლება,
სამშობლოვ ჩემო!
ზოგ-ზოგ ვამპირებს და მიზანთროპებს
რა ეშველებათ!

1993



გეღარ გიხსენებ

შავი ზღვის ტალღა
და ცა კოლხური,
წარსულს
კვლავ მიქნევს დაფნის ტოტივით,
საოცარია,
კარგად მახსოვს ტბა – მეოტიის
და მდელვარე პონტო ევქსინის,
დალატისა და მწუხარების
მზით შელესილი,
მაგრამ მედეას და აფსირტეს
გეღარ ვიხსენებ.

1959

ჰერაკლიესად და თეზევსესად

მომხდეულს რომ შიშის ქარად უვლიდა,
ბევრი გეყოლია თურმე
მხედარი,
გვეზრდება მოდგმა ჰერაკლებად
და თეზევსებად,
დღეს კი, მამულო!
შენს შემხედვარეს,
რა გქნა,
თვალი რომ ცრემლით მევსება!

1991



შავი დღეების მდინარეებმა,
ცისფერი ბაღი გადამითელეს
და აყაყანდნენ, როგორც ბატები,
არც ვარდისფერი,
არც მზისფერი,
და არც წითელი,
მოდის სიკვდილის თეთრი ხატება.


2004



შამოწოდილ გუბარაზ მთებს

ნისლში მდგარი მწვერვალები,
თეთრი ჩალმით
ჰგვანან ყავნს,
მზის ალერსში დე, დაიწვან...
ფეხზე ვერვინ ააყენებს –
წამოწოლილ ბუმბერაზ მთებს
და წაქცეულ დედამიწას.

1968



თან დამდევს და ბედისწერა,
ათას ხვანჯს და
ხიფათს მიწყობს,
მაგრამ შენი,
ფიფქისფერი ღიმი მყოფნის,
რომ სრულიად დავივიწყო,
სიცრუე და სივერაგე –
წუთისოფლის.

2001



ბარები და ნიჩბები,
 სანამ კუბოს არყოფნის,
 სიჩუმეში ჩაფლავენ,
 ყველა ტირის უკლებლივ,
 ვჭრებ, ლოდზე ზის სიკვდილი,
 ვითარცა მესაფლავე
 და მშიერი სიცოცხლეს მგელივით
 ილუქმება,
 წყლად კი ცრემლებს აყოლებს
 ნორჩი ჭირისუფლების.

1993



შენი ლექსების სასახლე

ცის კარებს ხელის ცახცახით
ფართოდ გიღებენ ჰორები,
მიტომ, რომ შენი ლექსების
ვამდე აწვდილი სასახლე –
ნაგები არის სულ ბროლის
და ოქროს მეტაფორებით.

1996



მირაპოს ხიდი

სენას,

ვით მტკვარს, დაგცქერი,
 და ცისფერი ტალღები –
 ზნეს იცვლიან მარტივით,
 ისმის ძველი მოტივი –
 წარსულ დღეთა ფოთლების:
 “მარტოობას” უჩივის ალფონს
 დე ლამარტინი,
 “შაშვეს” და “წყაროს” უგალობს
 თეოფილე გოტიე,
 “შემოდგომის სიმღერას” ჩურჩულებს
 შარლ ბოდლერი.

1979

საუკუნეთა ჯებირები,
რომ,
მტრობის ღვარცოფს ვერ აკავებენ,
ატილას ველური ჰუნებია,
დამის გზაზე კი
დაყრილი ვარსკვლავები,
ბრმა მთვარის ჯოხის ნაკაკუნებია.

1959



გეაღლდები მთვარისპენ

მზეს და სინათლეს –
სივრცეს შევტირი
და ცაზე –
გარსკვლავებს ვარისხებ,
დედაო დგომისაო,
მეც ნათლისსევტივიოთ,
ვმაღლდები მთვარისკენ...

1986



როგორც გოვთხს

ლოცვით დაღლილი,
სტრიქონების თეთრი სანთლებით,
წმინდა ხატებთან დგება პოეტი,
და ცის დუმილი –
მზის ამბორია,
– მეტი სინათლე! –
როგორც გოეთეს,
სურს სიკვდილის წინ,
ვითარც ცეცხლი და ქარბორია.

1997



ქრისტ საშპუნენი

რვაასი წლის იქიდან –

მესმის ჰანგი მესხური,

ვარსკვლავები ზეცაში

უშქარ დამეს ათევენ,

ქრისტ საუკუნენი...

მე თაგზე დამესხურა

უპდავ სხივთა ნათელი.

1970



არც ვრიშსმ ჩანს, არც აფსირტე

წეს ფაზისი...

ღელავს პონტო

და გულში დარდს ვეღარ

იტევს:

სად წავიდნენ, ვერ გაიგეს,

არც ფრიქსე¹ ჩანს,

არც აფსირტე²,

ხმობენ სანებს და სანიგებს

კორაქს-კოლებს

და კასიტებს.³

1964

¹ ფრიქსე (ბერძნ.) ათამანტისა და ღრუბელთა ღმერთ-კაცის ვაჟი, (ჰალეს ძმა).

² აფსირტე – აიეტსა და ასტეროდეს ვაჟი (მედეას ძმა).

³ სანები, სანიგები, კორაქსები, კოლები, კასიტებ-კოლებინაპართა ტომები.

სიამაყე და სიბრძნე რუსთველის

ვით დიდი მთები და მწვერვალები –
პონტოს მწუხარე ზღვაში
აბზინდა –
ის, რაც დიდ ვაჟას დარჩა უთქმელი,
შენი ლექსების –
ფარზე აზიდე –
სიამაყე და სიბრძნე რუსთველის.

1972



წელში მოხრილი და თვალბედითი
ცივად დაგვცერის მთვარე,
ვითარც დედინაცვალი.
სამარის მიწის მოისმის კვნესა,
მოხუცი მამა,
მთელი დამე ვარსკვლავებს თესავს,
თავზე გვაცვივა ოქროსფერი
სხივთა მარცვალი.

1966



მემკვიდრეობის და იმპი

ტანწერწეტა ეს ხეები –
ჩემი ნორჩი დაიები,
ჩასცქერიან ნამის სარკეს,
და აპრილის ბუჩქის ძირას –
ენძელები და იები –
აწერიალებს ზანზალაკებს.

1961



ქართული სიტყვა

ათას ჭირგადანაყარი –

დოომ,

და მტერმა ვერ დაძლია

სიტყვა –

რუსთველის ნაჭედი,

ააგო სვეტიცხოველი

და გამოკვეთა ვარძია –

ფიქრის და აზრის

საჭრეთლით.

1969



მითრა

უამს ცისკრისას სარქველები –
 მზემ მოხადა ვარსკვლავთ
 ჭურებს,
 სიჩუმეში ღრმად ჩაფლულებს,
 და სინათლით ცა დამითვრა,
 ანათებს და ზღვას აფუებს
 კოსმიური ცეცხლით მითრა*.

1961

* მითრა – მზის ღვთაება, (ცეცხლისა და კოსმიური ნათების შვილი).



მთვარე თითქოს და არის ქამარი

ჭექა – ქუხილის ხმას რომ გავიგებ,
მე ამირანზე ზღაპარი კვლავ
ამედევნება,
მთვარე თითქოს და არის ყამარი,
შავი ღრუბლების
დევენ მდევრები...
სინამდვილეში,
შეთვალული ვარსკვლავთ მტევნებით –
აალებულა ზეცის კამარა.

1996



ნათელმსმენს და ნათელმხილველს,
ნატვრა როგორ აუსრულდა,
ციდან,
ვიდაც უხმობს: “მალე!”
მიწაზე მზე გადასულთა –
გულის ყურს და
სულის თვალებს.

1993



როგორც დიდი მტკევარი

არსაიდან მოსული

და არსად მიმავალი,
ამქვეყნიურ ცოდო – ბრალს –
ცის სიშორეს შეჰქივი,
ციცქნა დედამიწაზე მარადდაუტევარი –
ეძებს “ოქროს მდინარეს”,
ვით ბრძენი მოდრეკილი,¹
ან “წყაროს ცხოვრებისა”,
როგორც დიდი მტბევარი.²

1960

¹ მიქაელმოდრეკილი – პოეტი პინოგრაფი Xს

² ორანე მტბევარი – საეკლესიო მოღვაწე, პიმნოგრაფი Xს

გარსპოლაგების მსპაღილია

აქ ხმა – სინათლის,
იქ კი – მაცილის,
ვითარცა ადრე ერთად ივლიან...
და ცის ბობოქარ
ოკეანეში,
მთვარის თეთრ ხომალდს შორს
მიაცილებს –
მზით შენიდბული –
გარსპოლაგების ესკადრილია.

1968



800 ღამოპლეს მახვილი

თუმც გამჩენი სანთლად გვინთებს
ვარსკვლავებს,
მაგრამ მაინც ცბიქრი და ფლიდია:
არ სურს თვალი კარგად
რომ გავახილოთ,
და ჩვენს თავზე მთვარე ისე ჰყიდია,
ვითარც შიში და
დამოკლეს მახვილი.

1999



გენახეს,

ჟამთა შესაკრთობად,

ჩამოკიდა ლერწმის ყულფი

და მტევანი სიყვარულის –

სიცოცხლის ხეს მიადგა,

მიტომ ადგას თვალი უფლის –

“ჭილ-ეტრატის იადგარს”.

2001



გვიახლოვდება იგი

(დის –
ზინას ხსოვნას)

დაიმსხვრა სულის მინა,
აში, გის რა უნდა გარგო,
ჩვენგან წავიდა ზინა,
ჩემო გუტავ და მარგო!
დღეებმა გადაფურცლა –
ჩვენი ცხოვრების წიგნი,
სიცოცხლე ერთი ციდა –
ჩვენი აქალოფნის ციდან –
სულ დარდს და წუხილს ცრიდა,
გვიახლოვდება იგი,
დღეს, სამი დავრჩიოთ ცხრიდან.

2002

უღმერთო და ურწმუნონი,
ქრისტეს არა,
ბუდას ბალებს,
სულ ედემად ასაღებენ,
ღამის კარებს –
მზე კვლავ აღებს,
მთვარის მოხრილ გასაღებით.

2004



მზეა შენი აშრა

ულტრა წითელს...
იისფერს ხელგაწვდილი მისტირი,
 სანამ ცას ვარსკვლავების
 მდუმარება შეშლიდეს,
და გსურს ოკულისტივით¹
 მექქსე თუ მეშვიდე
 ფერთა ელვა აყარო,
რადგან ბნელით მოსილი მზეა შენი²
 აურა²
 ყოველ დილით სამყაროს
 ქრუანტელად რომ უვლის.

1988

¹ ოკულისტი – თვალის ექიმი

² აურა – (ბერძ) aura – ნიავის ქროლა.

მღვმარ ცეცხლთა სკეტი

არყოფნისკენ მიჰყავხარ –

დღე და დამე ძილ-ღვიძილს;

გამჩენს დასაღუპავად

რა ქნას, არ ემეტები,

და ვით პოეტს –

წინ გიძღვის,

მდუმარ ცეცხლთა სვეტები.

1995



შექსპირს ცოდვა აღმვს ლირის

გამოკრთება მეფის სახე –
ხან პროფილით,
ხან ანფასით,
შექსპირს ცოდვა აწევს ლირის,
თუმც მისი გზა ცის –
დაფაზე,
ჩანს ბაჯაღლო ვარსკვლავებით
დაწერილი.

1968



შინაგანის სულება

ქრისტე ღმერთის მიმდევართ –
მოელით ცის მაღლობი
და კვლავ დაუსრულებრივ –
შორდებიან ახლობლებს,
წინაპართა სულები –
ვარსკვლავებში სახლობენ.

1962



შავ ზღვას ფერი აქვს შავი

ის მრისხანეა,
მაგრამ ზოგჯერ
ალერსიც იცის,
რომ წევს მშობლიურ მიწის
აკვანში განაბული,
შავ ზღვას ფერი აქვს შავი,
ძვირფასო,
განა გული.

1968



შეცე ცა გელის ფარულად

თურმე კაცის ცხოვრება –
დოღია და მარულა:
შავ – დღეთა,
თეთრ დამეთა,
შენ ცა გელის ფარულად,
როგორც უცხო პლანეტას.

2001



მზე იხრჩობა, როგორც ჰელე

ზვირთთა ლურჯი მთა-გორები,
გრიგალებმა გადათელეს
და მოჭრილი მკლავებივით,
ავლავ პკიდიათ თელებს ტოტი,
მზე იხრჩობა,
როგორც ჰელე¹
და ღელავს ზღვა ჰელესპონტის.²


1968

¹ ჰელე – ათამანდისა და ნეფელეს ქალიშვილი, ფრიქ-სეს და.

² ჰელესპონტი – პონტის, შავი ზღვა.

მეხით დამფრთხალი ჯოგი ლოდების,
 დაბლა გარბიან კვლავ
 არჩვებივით,
 კავკასიონი – ნოეს კიდობანია,
 და მთები წარღვნას
 გადარჩენილნი
 დგანან –
 სიმაღლეს ცას შებლავიან.

1986



ვ ი ძ რ ი

ანისისკენ,
ვითარც ცოტნე,
მივქრი — ფიქრით,
უჩინო,
კოხტასთავთან მამულის,
ისევ ვდგავარ დარაჯად,
რომ, ვით მონდოლთ,
წვენ დამქცევთ —
სიგვდილი გ ა ვ უ ჩ ი ნ თ
და აგერიფო ხალხისგან
სიყვარულის ხარაჯა*.

1988

* ხარაჯა — ხარჯი

დრო იყო,
ისე მიყვარდი,
ვითარცა რამინს –
ვისი,
ახლა კი აღარ მიყვარხარ,
ვისი ბრალია,
ვისი?!?

1955



ღამის ორკვეტრი

ხმა ჩამოდის ციდან მარადისობის,
სურდათ,
მაგრამ მაინც ვედარ
მოკლეს ის,
დღეები კი მის დინებას ერთვიან,
და... ვარსკვლავებს უკრავს
ღამის ორკესტრი,
არ ჩანს,
მაგრამ დირიჟორი ღმერთია.

1964



სულ გარეთ დავშესტები

შინ აღარ მიშვებს სიცოცხლე
 და ღობე-ყორეს ვედები,
 ფეხებს მტკქნს გზათა
 კირ-ქვები,
 სულ გარეთ დავეხეტები...
 მოგკვდები...
 და შინ ვიქნები.

1959



800 ტიტანიკი

ელიას ეტლის ბორბლის ხმაურზე,
უცებ მიწისფერს
გადაიკრავენ,
მძინარ ღრუბლების
თეთრი გედები,
და გარსკვლავები ატეხავენ ცაში
პანიკას,
მოვარე კი მზის რიცს წამოედება,
ჩაიძირება სიჩუმეში,
ვით ტიტანიკი.


1979



အေဒီနာရိတ်ပါး

ရှင်ဂာနာက မြောက်လာသ ဖြစ်လာ ဂုဏ်သွေး
 အတာဆုံး ဖျော်တော်,
 မိဘမ် ဂာဂုဏ်ပေါ် ၅၁၀။ ထဲ
 ၇၂၁။
 မိဘမ် ဖြောက်လာ လျှော့၏ ထဲ အောင် အောင်
 အမြောက်လာသ ဖြစ်လာ ဂုဏ်သွေး
 အရှင်နောက် အောင်.

2003



სილამაზე არის თურმე გუდე შურის

ცრემლიანი გვიხმობს რიწა,
ათონიც და აგუძერაც;
სილამაზე არის თურმე
ბუდე შურის,
ეს ცხოვრება არის თურმე
ძაღლყურძენა,
არ გეგონოთ ბუდეშური.

1995



ყოვნა მარადიული

იდუმალი სიშორე,
ოცნებამ რად ინატროს,
ისეც ცისკენ იურვის,
ვარსკვლავებში –
ბინადრობს,-
ყოვნა მ ა რ ა დ ი უ ლ ი.

1962



ცხობადის ზის მჟღვნეაზი

მიღიარდი წლის წინათ
გარდაცვლილი ფიქრები,
დამით,
ვითა მთიები,
ცაში თვალებს ახელენ –
და იქ აუტანია სულს
ცოდვების სიმძიმე,
მზეზე დაუტევარი
და ზღვარგადამლახველი,
მიუწვდომელ წყვდიადში –
ოქროს მტევნად ციმციმებს.

2003



გარსპოლაგების ოქროს ნავებს

მამლის ხმამ რომ ირიურაუა

უცაბედად –

ცა დაბერდა,

ღამე მაინც უნანავებს –

შორს მიმავალ

მთვარის გემს და,

გარსკვლავების ოქროს ნავებს.

1980



2001 დიადი ზესთახე

გვიოგალთვალებს ფარულად
და ხელს გვიწვდის
რომელი,
ვით დიადი ზესთახე
და ვით წმინდა მამანი,
მარად შეუცნობელი,
ძალი განუზომელი,
ფიქრი მიუწვდომელი,
უსაზღვრო,
უსამანო.

2001

ଓମ ଧାରାପରା ପ୍ରକାଶନ ମେଟ୍ରୋ

ଶୁଦ୍ଧିତ ପ୍ରକାଶନ ଏବଂ ମରିଯୁ ବ୍ୟାପକ ପରିମାଣରେ

ପରିଚୟ,

ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟରେ ପରିଚୟ,

ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟରେ ପରିଚୟ,

ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟରେ ପରିଚୟ,

ପରିଚୟ ଏବଂ ପରିଚୟରେ ପରିଚୟ,

1962



შეც შვილი ხარ ქრონისის

შენიც ისე ხმიანებს,
გით დავითის ფსალმუნი,
სამყაროს რომ აოცებს,
ხმა არის –
სამშობლოსი.
და ვითარცა ქაოსი,¹
შენც შვილი ხარ ქრონისის.²

¹ ქაოსი – მარადისობის შვილი

² ქრონისი – დროის განმასახიერებელი ღვთაება
(მარადისობა)



შვიდი შვიდური აზრა

შვიდური ცისარტყელების

და ცის –

მეშვიდის ხმაურმა,

შეაკრთო მიწა დადლილი,

შვიდი,

შვიდური აურა,

შენს სინათლეში გაბრწყინდა –

გეთსიმანის ბაღიფით.

1963



8300

კოლხური სიმღერის მესმა მე მოტივი
და სიხარულმა იწვიმა...
შავ ზღვასთან კი არა,
ტბასთან მეოტიის –
პოლუსზე იბერთა “არქტიკის”.
რვაათას სამასი წლის წინათ,
არც აქეთ და
არც იქით.

1960

შაში

უამი პეტრეს
 პავლედ აქცევს,
 ოულიუსს –
 ოულიად.
 ყოველივეს წვავს და
 ნაცრავს,
 აღმახნულს კი დაბლა ფარცხავს,
 რადგან მარადიულია.

1980

ელვის ნათელზე ლეგა ღრუბლებმა
გუდა-ნაბადი
უცებ აიკრეს.
და მთვარის საცრიო ოქროს ფერი
ისევ იცრება.
ზღვა ქარის ხელებს გულზე
დაიკრეფს
და ჟამს ცისკრისას გარდაიცვლება.

1971



მუსიკისა და შაირმოზნების

გაკრთებოდა ელგის სიმი
და ისმოდა ცით ჰანგები,
ელვარებდა დამის ველი,
ისხდნენ მნათნი,
ისე, ვითა მეჩანგენი,
მუტრიბნი და შაირმოზნები.

1971



ამობროვინდება

მრუმე ღამის კარიბჭესთან –
ნათლის წყარო
ისევ გიმზერს
და ყოფნა არ გწყინდება,
რადგან იცი,
რომ შენი მზე –
მალე ამობრწყინდება.

1961



მთვარის თეთრი ფარდა უშვება

ისმის სინათლის ფრთების შრიალი,

ჰყვავის სინათლე

და გავეშებით –

მოდის ზეციდან უფლის წყალობა,

მთვარის ქათქათა –

ფარდა ეშება

და ვარსკვლავები ნათელს გალობენ.

1998



ზარს ვარისხებ, როგორც მნათე

უქამოს და უხილავის –

სამრეკლოზე გადმომდგარი

და სიკვდილის მწარე კერძი,

ზარს ვარისხებ, როგორც მნათე

და ვით დავით,

მეც დავეძებ,

მიუწვდომელ თვალთა ნათელს.*

1962

* “ნათელი დიდი” – (სახარება) მათე 4, 16



სიკვდილს ბარდება

სულ თითო – თითოდ აქვს მას
 დათვლილი,
 მონაც და მეფეც,
 სრა – სასახლე,
 ფაცხა და ოდა,
 ყვავილები და ეპალ – ბარდები,
 და ისე, ვითარც ადამის მოდგმა,
 არსი ყოველი,
 მიწას არა, სიკვდილს ბარდება.

1961



ვითარცა ადრე
პარას ჭალაში,
აშრიალებენ აპრილს
შინდები,
და რომ მზე ჩავა სიჩუმეში
ღამის სათევად,
მაშინ მოხუც ცას –
სიმარტოვის შეეშინდება,
იშიშვლებს მთვარეს,
როგორც სატევარს.

1958



პილატეს და ჰეროდეს

ასე მოსდგამს ოდიდან,
პაპის პაპის, პაპიდან,
თუნდ რომ კლავდიენ,
ქართველი
მაინც უნდა მღეროდეს,
და მით ჩასცეს ლახვარი
ყველა დროის შადიმანს,
პილატეს და ჰეროდეს.

1993



მოწყვეტილი მიმზადების პრისტე

მზის წყვდიადში მარტოდ მაგალს –
გარსკვლავები მიმაცილებს:
“ფსალმუნებით” და
“მაყრულით”,
გზას კი ელვა მიგვირისტებს,
მოძმისაგან –
ჯვარს გაკრული,
რწმენის ციდან –
მოწყენილი მიმზერს ქრისტე.

1993



ლელვა

ვითარც დათვის ბელები –

ზეირთი – ზეირთს მისდეგს...

ნაპირთან,

ალბათ ყირაზე გადავა,

სავსე ფერადი კენჭებით

ზღვაშ კაბა აიკალთავა.

1962



ვწუხვარ, ვითარცა ეკლესიასტე,
რომ ამაოა ქვეყნად
ყოველი,
რადგან არყოფნა გვიდევს მოკვდავთ
თავსასთუმალად,
- მე შენს ნაპირზე გადმოვედი,
ვით უცხოელი,
და შენს ჭერქვეშ ვიცხოვრე მე,
ვითარც სტუმარმა.

1962



რაღა გქნა,
საწყალს და დვთისმოსავს,
სტრიქონებში რომ არ მესმის –
ხმა ამარტის და გიშერის,
ლექსის ასპიტით –
დაგესლილს,
აშ ვერაფერი მიშველის.

1959




შურის და მტრობის ისრებს მიშენენ
და ყაყანებენ,
როგორც მყვარები,
თუმც ჯავრი მაინც ვეღარ იყარეს,
და...
შენ დატოვებ მიწის ხმაურს,
და მათ სიმყრალეს,
ცის სიმყუდროვეს შეეფარები.

1993



საუგუნის ბნელი აწევს,
გვარს და სახელს –
ლოდზე ნაწერს,
/იქ, ცაცხვებთან მწვანე კორდის/,
მერე დღეთა სვავებისგან
მარცვალ-მარცვალ
ამოკორტნილს.

1974



სანაპიროზე სხედან ლოდები,
აცვიათ ხავსის
ახალუხები
და მომლოდინეთ ღელვა მოშიგდათ,
ზღვა კი დაღლილი –
ქარის მუხლებით,
მწვანე ნაპირზე ამოქლოშინდა.

1981



მიიწევა მაღლა მთები

და თან მიწის დარდი მიაქვს,

ელვა იწნავს ნაფენ კავებს,

ცის ნისორზე* –

დაყრილ წყვდიადს,

გარსკვლავები კვლავ კენკავენ.

1960

* ნისორი – გარცლი (მეგრ.)



ეპიკიდე

ევრიპიდე თუ არა,
აბა გინ გაიმეტებს,
კოლხ დედისგან შობილებს:
მერმეროს და ფერეტებს,
სცადა, გიჟის ხალათი
ჩააცვა და მიაზღო,
თითქოს კოლხმა ასულმა,
შვილებს ყელი გამოსჭრა,
ამით, ვითომ სიცოცხლე,
გაუმწარა იაზონს.

1959



შორეული წარსულიდან,
გითარც ზღვიდან,
ისე გეხმის –
კოლხთა ლოცვა და სიმღერა:
შენ ხარ პოეზის –
ზევსი
და მზის სანთელს გინთებს ჰერა.

1999



ილოსი

მითებს და ათასწლეულებს –
კოლხეთი მხრებზე გადიშლის,
დუმს ეგეოსი და პონტო...
ზღვა დელავს მარმარილოსი,
ზეირთებს მოაპოპს და მოდის
კოლხეთს –
მედეას ბადიში,
ბერძენი არა!
პელაზგი,
მერმეროსის ძე –
ილოსი.

1964



გარსპოლავების შემთხვევას

გალაკტიონმა მოულოდნელად,
 ცივად მიხურა კარი
 მეოცის,
 შენ კი, მგოსანო, ჯერაც უცნობი,
 ოცდამეერთე საუკუნის
 გაწევს სიმძიმე
 და ვარსკვლავების უსმენ გალობას,
 ვითარცა წინათ,
 ცას შესციცინებ
 და ქლავ მოელი უფლის წყალობას.

2000



თბილი

ყველა გზა თუკი მიდის რომისკენ,
მე შენს გზას ვსწავლობ,
როგორც გაკვეთილს,
და გევედრები, ღმერთო,
მომხედე!
ამ ცხოვრებისგან სასოწარკვეთილს,
უპოვარსა და
ოხერმოხეტეს.

2003



მეორედ მოსვლა

გარსკვლავების თავსხმაა,
 ქარ-თქეშია დრუბლების,
 მთვარე კიდობანია –
 ბიბლიური ნოესი,
 და ყოველის მხილველნი,
 ახლა არას ხედავენ,
 და არა ჩანს მხედარი,
 მარად უშორესი და
 მარად უახლოესი.

2000



პონტაგორა

კოხტაგორა მაგონებს გოლგოთას,
ველური ხმა ისმის
მონგოლთა,
თითქოს და ქრისტეს ჯვარს აცმევენ-
ძელი აღმართულა
კოხტასთავს
და ვითარც ის ერთი გამცემი,
არყოფნა მიმიდვის –
ყოფნასთან.

1978



მოიხაი

შევეცოდეთ... და
მიტომ გვემალვის...
ხილვის და პატიების,
ჩანს,
რომ არა ვართ დირსი,
ის ყველგან არის...
მთიები –
ნაფეხურებია მისი.

1963



ძრისტეს პვართით ნაშობი

წარსულიდან მოსული ქართა ისმის
ოსანა,
ლოცვით დაღლილ სველ ღრუბლებს,
მზის ცეცხლზე რომ აშრობენ,
ცისარტყელა ხელს გიწვდის,
რადგან შენ ხარ მგოსანი,
წარდვნას გადარჩენილი,
ქრისტეს კვართით ნაშობი.

2001



მთვარის ნაგი

მზე უნთია და ცის ქვაბს,
 ასდის სინათლის ორთქლი,
 რასაც ცისკარი ჰქვია,
 და სადღაც დამის ღელებს,
 მთვარის –
 ცის კენტი ფოთლის,
 პატარა ნავი მიაქვს.

1955



ზღვა -

გოლიათი ჩაკრულია

მიწის აკვანში,

ქარი კი დელვის უჭერს არტახებს

და ნაპირს კარგავს -

სინდის-ნამუსთან,

ზღვას კი მიწიდან უნდა ამოსვლა,

და სივრცეს არყევს

და აპარტახებს.

1988



გჟ!

მოსვლის წამიდან მიტომ ვტირივართ,
რადგანაც ვიცით, დათვლილია
დრო და საათი,
და დღე ყოველი სამარე რომ
ჩვენი ითხრება,

გვე!

მიტომ ამბობს ბრძენი საადი:
მოსვლა ვინ გვკითხა,
ან წასვლას ვინ
დაგვეკითხება.

1968



აქ, მეტანთან

რომ არასდროს დაავიწყდეს,
აქ,
მეტეხთან,
აი, ახლაც,
ყური უგდეთ მტკვრის შავ მორევს:
თბილისს თავზე,
რაც გადახდა
გულში, როგორ იმეორებს...

1993



დუმილის ფოთლები –
მოქსხათ ლოდებს,
ცას და ცის არეს,
დუმდა ზღვაც...
მაგრამ,
-გამოენიისას წამოსცდა ქარი.

1962



მასხეთის მთები

პროფ. შოთა ლომსაძეს

ურჯულო ჟამთან და მომხდურთან,
ფერსათი,
ლადო და ლომსია –
მესხეთის ეს მთები ომშია,
თუმც მტრებმა ათასჯერ მოსხიპეს:
სპერი და შავშეთი,
ტაო და კლარჯეთი,
უძველეს კოლხეთს და “მოსხიპე”*.

1968

* “მოსხიპე” სახელწოდებით მოისხიება ანტიკური ხანის წყაროებში მესხეთი. (სტრაბონი – 64-63 ძვ.წ.აღ. 23-24 ა.წ.აღ.).

გრაალის თასი

თვალბნელი ღამიდან,
ვით დედა ქალწული,
მზე ატატებული მოდიან ცისკრები
და დია სამარეს ლოცვები ავსებთ,
არა ჩანს უფალი,
აღარც ცა იხსნება
და სისხლით ივსება
გრაალის თასი.

1964



მეცნი-მეცნ დავით

მეტი აღარ შემიძლია
საწუთოსთან, დავით,
და შენ გიხმობ წარსულიდან
მეფეთ-მეფე დავითს,
ვერ დავუთმობ მშობელ მიწას
სხვას,
ცოცხალი თავით,
უცემ, ისე, ვით უთხარი მტერს
დიდგორთან,
იქნება მეც მათქმევინო –
მომხდურისთვის, დავით.

1993



პეტრი ნათელის სიელვარეში

დგება ნათელი ბნელით შობილი და
მნათობები –

თვალებს ახელენ –

წყვდიადისა და დამის გარეშე,

და იდუმალი მესმის

ძახილი,

ბნელი ნათელის სიელვარეში.

1959



ცაშიღრებას ქაოსის

ბოლოს ყველა იქ მიგა –
მზისქვეშეთში მოსული,
გულზე ხელდაკრეფილი,
ვინ გვიან და ვინ ადრე,
სადაც არსად არავის,
არაფერი აოცებს,
მანამ შენ ერკინები-
ბნელ ჰადესის ბინადრებს:
წყალსა და ცეცხლს
და ჰაერს –
ნაშიერებს ქაოსის.


1969



ნანა

ათასჯერ გადანაყარი –
ხიფათს,
ჭირსა და ვაებას –
კოლხები “ნანას” ეძახდნენ
დედას,
ათასი წლის წინათ,
მთვარის –
პირველქმნილ ღვთაებას.

1974



ჩვენი პოლიტიკი

რომ გაეგონათ მთებს და
მწვერვალებს,
ათასი წელი ხმას ვიბოხებდი,
ზღვის და ხმელეთის ცრემლით
მომრწყველი,
და... შორეული წარსულიდან
მიმზერს მოწყენით –
მითებითა და ლეგენდებით დახუნძლული
ჩემი კოლხეთი.

1960



შიში და მრასი

უფალს ვეცოდებით,
 რადგან ცისქვეშეთში,
 ხელებაწეულებს,
 ვითარც ბიგელებს,
 გვატარებს შიში და ერესი,
 და ჩვენ არ ვიცით,
 რომ იქ მიგველის,
 არყოფნა,
 ყოფნაზე უმშვენიერესი.

1964



ბრიბოლ ხანძთელი

ქართლის სულის საიდუმლო
შენ უწყოდი,
მხოლოდ ერთმა;
ტანთ კაბად რწმენა გემოსა,
მიტომ მოგავლინა ღმერთმა:
“ზეცის კაცად და ქვეყნისა
ანგელოზად”.

1985



დარსულის სტუმარი

მიტომ აცვია პონტოს შავები,
 რადგანაც ვითარცა შობილს,
 მშობელი,
 ჩემს კოლხეთს თავის ისტორია
 გადაუმაღეს,
 მიტომ მდის ცრემლი შეუშრობელი,
 მიტომ კოლხეთის –
 წარსულის ვარ
 ხშირი სტუმარი.

1961



ფიქრების ფანტაზი

რუსთაველის შაირზე,
მუსიკაზე რაველის,
გხატე ესე ცხოვრება ტემპერით
და გუაშით,
ფიქრთა ფანქრებითა და ვარსკვლავთა
აკვარელით,
მაინც ვერარა ვპოვე წუთისოფლის
ბრუნვაში,
სამშობლოზე ძვირფასი,
მამულზე საყვარელი.

1960



ბიბლის ზღვაში მცჟრავი

წყლის ზედაპირზე სიარულს,
ნუ დაიკვეხნის ნურავინ,
ეს შენ ხარ!...
ჰერკულესივით –
მითოსის მხრებზე შემდგარი,
ბიბლიის ზღვაში მცურავი.

1965



300 ეპლესიასტეს

ქაოსიდან თუ არყოფნიდან
გადმოვლენილი,
ვითარცა ცეცხლი –
მეკვლე წყვდიადის,
დასაგლით ილტვის მზე –
საღამოსი,
შენიც,
ისე,
ვით ეპლესიასტეს,
ცისკრის ნათელი არის სამოსი.

1961



ზეცის აგან-ჩაგანი

დილის მზე თვალს გარიდებს,
 თითქოს იგი მორცხვია,
 ხვიჩა ვარსკვლავებია –
 ზეცის აგან-ჩაგანი,
 ცა კი არა,
 მთოვარის მოქათქათე ბორცვია,
 შენი ძვალშესალაგი,
 შენი სულის სავანე.

1985



შურუვაქის, ქიშის, ურის

გამჩენსა და ბედს ვემდური,
რომ კოლხეთის –
შოორ წარსულში,
ვეღარ მიჭრის ორბის თვალი,
შურუვაქის,
ქიშის,
ურის*-
გადუხდელი მადეგს ვალი,
თუმც ჭრიალი მესმის ურმის,
აღზევნიდან მომავლის.

1961

* შურუვაქი – (თუ კოლხეთი) ქალაქები XXXIV – XXXIII სს. ძვ. წ. აღ.



ცა მეძახის ცისიერს,
 ოოგორც თავის ახლობელს,
 ფიქრი შემომისიეს –
 შემოდგომის წვიმებმა,
 შორს ჩანს მთვარის მაღლობი,
 იქ ღმერთები სახლობენ
 და დგას სინათლეებად
 ვარსკვლავების ზვინები.

1959



გოლხო

გადავიწყების კუნძულებიდან –
დავიწყებულთა მოგვესმის ხმები,
დედამიწას რომ ქრუანტელად
ტანზე უგლიან,
კოლხო! –
ის გზები,
შორეთიდან მოსული გზები,
შენს გარდა ქვეყნად,
სხვას არავის არ გაუვლია.

1968



გაგპასიონი და მყინვარი

მლოცველებივით დგანან ბორცვები,
 ფერდობი მოჩანს,
 ვით ამბიონი,
 და გადმოყურებს მიწას გულდიდად:
 მყინვარი –
 შუბლზე ჩამოფხატულ
 თეთრი ქუდით და,
 თოვლის საყელო აწეული კავგასიონი.

1980



ერვნები

ლეგენდებით,
მითებით,
მოდის ჩემი გვარ-ტომი,
შემერიდან,
ხეთიდან,
და კოლხური სიმღერა –
მესმის ერეხეთიდან:
“ერეხელი ვარ და მერეხელი
საარიკო...”

1962



უმიზუროდ

(ისევ სამეგრელოს დალაშქვრა)

მზით მოსილი,

მოყვავილე,

ყველა სახლი,

ყველა ეზო —

მილეთის რომ ანცვიფრებდა

ყველა მნახველს,

ო, სწორედ ის —

სამეგრელო,

უმიზუროდ,

თავის “მმებმა” ქართველებმა გამილახეს.

1992



მზის მაღალი სათავე

ღამეს ჩამოუშლია შავი ომები
ღრუბლების
და ცას აღარ მოუჩანს –
არც თვალი და
არც სახე,
ელვას გადაუსხიპავს ვარსკვლავების
თავთავი,
ვიცი,
სადღაც აქვეა უფლის თეთრი
სასახლე,
მთვარის შადრევნები და
მზის მაღალი სათავე.

1991

03

“ჰოი, ჰო, იო,
მეშენ ვადირთოი.”¹

ეგეოსის ზღვის ნაპირთან,
უცებ რომ გაქრთა წარსული,
მოგონებებმა იელვეს:
არგოსის მეფის ასულის –
იოს² კივილი მომესმა:
– მიჰყავდათ ფინიკიელებს.

1983

¹ ჰოი, ჰო, იო, რად არ ბრუნდებიო.

² იო – ფინიკიელებმა გაიტაცეს და ეგვიპტეში ჩაიყვანეს ოთხიათასი წლის წინათ.

ზაურ ბოლნიშვილის

საფლავის ქვაზე ყვავილები
მუდამ ბოლქვად ძეგს,
შენ,
როგორც მგოსანს,
რომ გიყვარდა,
ზაურ ბოლქვაძევ,
გულს რომ გაყრია საქართველოს
მიწა ბებერი,
იქაც დარაჯობ მას ერთგულად,
როგორც ცერტერი,
მამულის პოეტ ჭირისუფალს,
ასე შეფერის.

2002

ՀՐԱՄԱՆԱԳՈՅՆ ԾԱՇԽՈ

Թյուղօծես ქարո և գառսո
 և մտցարյես շնչորս
 ջնուս ցացնեցա,
 ճամյես շնչոմիա և շնամիա,
 ցուս ոկյանցի ըռմ
 մոօցրացնեցա,
 մազո լրջեծլյեցուս ցշնամիա.*

1964

* Ցշնամի – զօգանքյուրո թալլյեցա.



პლანეტა დიდი და შსახელო

მიღმა მერკურის და ანდრომედას,

მარადისობის –

ციცქნა იმედად,

ხელს მიქნევს, ვითარც ტოტი იელის –

პლანეტა დიდი

და უსახელო,

ბედის ვარსკვლავი სადღაც იელვებს

და ცა აიწევს –

ნახევარი მთვარის საყელოს.

1988



ცის უდაბნოში თავშესაფარს
 ეძებს და ეძებს
 და აგორებულ ღრუბლების ლოდებს,
 შემკრთალი მთვარე კვლავ
 უკლის ცერად,
 ზღვაც ისე ჩუმად,
 ფეხაკრეფით მიდის
 და მოდის,
 თითქოს ყურს უგდებს ჩვენს
 გულისცემას.

1960



გული

“მე ვკითხულობდი “ქართლის ცხოვრებას”
წესების დიდხანს, გათენებამდე.”

გ. ლეონიძე

ვერ ისვენებს...

თრთის და ბორგავს,
საგულეში ვერ ეტვა
და გასკდომას ლამობს გული,
როცა ხედავს ქართლის წარსულს –
მკერდდაშანთულს, ვით ქეთევანს
და ტანს სამოსშემოძარცულს.

1989



ა. ლეონიძე

მარსის ველი და ჭალა არმასის

აზარფეშებით სვამენ კოლხები
 შარბათს,
 ღალატის შხამში ალესილს,
 სადღაც მედეას ისმის ჩურჩული,
 ცეცხლს აღარ აფრქვევს
 და ოვლებს ურჩხული,
 მარსის¹ ველი და ჭალა არესის².

1985

¹ მარსი – რომაელთა ომის მფარველი დმერთი.


² არესი – ომის მფარველი დმერთი პელაზგების და ბერძნების.



რა ძნას დაგითმა

დღეს საქართველოს კიდით-კიდემდე,
მტერთა ოცნებას მოჰგავს
ახდენილს –
ჩამოსწოლია შავი ფერი ცის,
რა ქნა დავითმა,
დიდგორი აქვს გადასახდელი,
აფხაზეთისთვის ჯერაც ვერ იცლის.

1995



FATA MORGANA

მზე მწუხარისას თავს უკრავს –
 ხვალინდელ დღის
 სიშორეს,
 აცილებენ მთიები შიშით და მოწიწებით,
 ზღვები მიწის ლოგინში
 განა ალარ ბორგავენ
 და განა ქარიშხლები თმებს
 ტყუილად იწეწენ,
 მათ იციან, ცხოვრება არის –
 ფატა-მორგანა¹.

1961

¹ ფატა – მორგანა – მირაჟის ნაირსახეობა. (იტალ)



გონა რომა

ეს ის დროა,
როცა კოლხეთს,
რომაელთა ყიუინა და შიში ავსებს,
მტერი¹ ყველა –
ცბიერი და ფაკირია²,
და არესის წმინდა ჭალას –
არქმევს “მარსის”,
კოლხები კი “ვიხა რომას”³ გაჰკივიან.

1994

¹ მტერი – იგულისხმება რომაელები.

² ფაკირი-მოხევტიალე ბერი.

³ ვიხა რომა-რომს გაუმარჯოს (იტალ.)




მიგად დამეში გილგამეშივით

აქ,

სხვა ზღვა დელაგს და ოკეანე,
ქარიშხლითა და მზით გალეშილი,
“გაჭაბუკების” –

არ ჩანს “ბალახი”,
მიგალ ღამეში გილგამეშივით,
“სიკვდილის წყლების
გადასალახად”.

1996



ხმა მესმის თურქთა,
სპარსთა,
არაბთა,
ტაძრებს, მონასტრებს, ათჯერ
დათვლილს,
ასჯერ დავითვლი...
კვლავ სინაგოგა...
და კვლავ მეჩეთი!!!
ვახტანგ გორგასლის,
თამარის თუ
დიდი დავითის,
სამშობლოვ ჩემო!
ნეტავ რომელ
დროში შეჩერდი?!

1996

ქსენოფონტე

დასავლეთით-

ზღვიდან – მთამდე,
 გაუდიათ ცხრავე კარი,
 მოსინიკებსა და დრილებს:¹
 კოლხეთს ილტვის ქსენოფონტე²
 ურიცხვ ჯარით,
 გზად ფაზისის წყლით –
 მხერვალე შუბლე
 იგრიალებს.

1963

¹ მოსინიკები, დრილები – ძველი კოლხური ტომები.

² ქსენოფონტე – ბერძენი მხედარმთავარი და მწერალი (ძვ. წ. V-IV სს.).



ჭავე მესხეთში

მტკვარი რომ შემოგხვდა ციხესთან
ხერთვისის,
არც სახე უჩანდა, არც ტანი,
წარსულში კვლავ თვლემდა სპერი და
არტაანი,
ხმა აღარ ისმოდა ბაღვაშის,
მხარგრძელის,
და როგორც ძუძუთ ბაგშვს,
ცას ერთი გარსკვლავი,
ისე ამოეჭრა,
ვით კბილი სარძევე.

1960



რკინის პეჭედი

მეფე სარდურ* მეორემ,
 ცოცხალი არ დასტოვა,
 “კოლხი მეფის ნაცვლები”,
 შიშითა და სიავით პონტოს კარი
 შეჭედა,
 ცა და მიწა კოლხეთის იწვის
 და ინაცრება
 და დაუსვა სიცოცხლეს –
 კოლხთა “რკინის ბეჭედი”.

1981


* სარდურ II-ე – ურარტუს მეფე (ჩვ. წ. 765-733 წ.წ.).



შსენი

ვითა არესის მთვლემარ ჭალაში,
ოქროს საწმისის მცველი
ურჩხული,
ისე აკვესებს ბოროტ თვალებს
წიგნში უსენი,
ზეცით დემონი ეჩურჩულება
და მთები ფეხზე მდგარი
უსმენენ.

2001



მხოლოდ პოეტი...

გარსკვლავები ვეღარ ხედავენ,
სულთმობრძავი და სიყვითლით
მოვარე სწეული,
მტკვრის ტალღებს მოაქვს,
ვითა მცხედარი,
ამ ცხოვრებზე –
ხელჩაქნეულის.

2001



სამშობლოვ – ჩემო

სიცოცხლევ

რომ მიმოყრილან ველ-მინდვრად,
ქართვლის ცას მხარი უმშვენონ,
ოქროა,
განა მთებია,
სამშობლოვ! –
ჩემო სიცოცხლევ,
ერთი დღე რაა,
უშენოდ,
ისიც ნუ გამთენებია.

1962



მთვარის ნატეხი

გამოპარული სიმყუდროვიდან,
 გადარჩენილი —
 ათას ქარტებილს,
 დრუბლების ჩვრებში შეუფუთვნელი —
 დამე კი არა,
 მთვარის ნატეხი,
 ხელში მიჭირავს ეფუთივით*.

1957

* ეფუთი — უძველესი ქოლხური ვარსკვალვობიცხვა-
 ლობის წიგნი.



თუთარჩელა

მოგვისინათლა და ვით იმედი,
უფალმა ელგა კვლავ გაკიდა,
და ღამე შუბლს უშვერს
მთვარის გეიზერებს,
წვენ ვზიგართ ზღვისპირად
და ცის ლარნაკიდან,
ია-იებივით მოწყენილი —
ვარსკვლავები გვიმზერენ...

1959



ვით წინათ,
 ახლაც ადამის მოდგმას,
 შურის და მტრობის ნისლები ფარავს,
 და კვლავ უწყემსოდ
 იტანჯვის მრევლი,
 ვხედავ: მგლები ჭამს
 და ბლავის ფარა,
 თვალებზე სიმწრის მაღდება ცრემლი.

1993



პიშვები და ანთები

ნეტავ საით წავიდნენ,
ისტორიის წყვდიადში,
გზას რომ ვეღარ იგნებენ
და სანთლებს არ ანთებენ:
ზარმატები,
ფრიგები,
ჯიქები და ანთები*.

1967


* ზარმატები, ფრიგები, ჯიქები, ანთები – პროტოკოლ-ხური ტომები.



დამის დარღვი ბახვეული

მსურს რომ სული განვიკურნო
მთვარის ჩანგით,
სიბრძნის ღვინით,
როცა უფლის ცას შევუვლი,
ღამის დარღვი გახვეული,
მნათთა შორის –
ცოდნა ღვიგის.

1989



გიხმობს პოსტიდონი

ყალყზე დამდგარ ქარიშხალს –
სათარეშოდ არ ყოფნის
მთათა თეთრი კალთები
და ზღვის ლურჯი მინდორი,
რომელსაც მზე გარს ავლებს
ქაფის ლამაზ არშიებს,
სადაც დგას და ნიადაგ გიხმობს
პოსეიდონი,
ჰელიოსის ნათესავს,
ზღვის და ქარის ნაშიერს.

1965



კვლავ ეცილება პეტრუსას

ბაღჩო

ისეა ახლაც,
ვით იყო წინათ,
კვლავ ეცილება პეტრუსას ბაღჩო,
სოხუმს და თბილისს,
ქართლსა და სამცხეს!!!
არა და არა! აღარ იქნა
და აღარ დაცხრნენ,
რადა ვქნა, სიმწრის ცრემლები მახრხობს.

1992



ხალიბებს და მაკრელებს

ევიას და სქერიას
და ქიოსის¹ პატრონებს
ვხედავ: მაკრის-მაკრონებს,
ხალიბებს და მაკრელებს²-
შეუპოვარ მებრძოლებს,
გრდემლზე უროს დამკვრელებს.

1960

¹ ევია, სქერია, ქიოსი – ეგვიპტის ზღვის კუნძულები.


² მაკრისები, მაკრონები, ხალიბები, მაკრელები – კოლ-ხურ-ქართველური ტომები.



სატანას და ბარაბას

წუთისოფლის შარაზე –
კვლავ მოისმის მეურმის:
“მადო ჩქიმი არაბა”,
ვით მაცხოვარს დღეებმა
ჩვენც ჯვარცმა გვიწილადეს,
ამ ქვეყნად რა გამოლევს
ჰეროდეს და ბარაბას,
იუდას და პილატეს.

2002



მოყვავისი პეტილი

კი,

მწყემსი ქეთილი ფარას კვლავ
მილალავს,

სიბრალულს ბდავიან “ცხორები”,
ვითარც სამოთხის უარყოფას,
თუმც უამი ხეს არხევს
ცხოვრების,

დახუნძლულს “ათორმეტ ნაყოფთა”.*

1968

* იგულისხმება ქრისტეს ოორმეტი მოციქული.



მზის ჩასვლა

ვითარც ხოხობი ტყვიანაკრავი,
 მზე ძირს დაეშვა
 ფრთაშეკეცილი
 და შეერია დამის საყანეს,
 ცის ოგვაჯეში –
 მწუხერმა დადო
 მოვარე კვერცხივით
 და ვარსკვლავების ისმის ქაფანი.

1958

ბრძოლით დაღლილი

არაგველები

მტკვარს,

დახოცილთა თეთრი ჩალმები

მიაქვს,

დამხრჩვალი, თითქოს ცხვრებია,

ხოლო მომხდურთა დამრაგველები,

ბრძოლით დაღლილი არაგველები,

ველზე დანოებულ

სისხლის კოცონს

მიფიცხებიან.

1959



3001203 მძიმელი ქვეყნებს

ჩაგიდე

რადგანაც მოსგლით ბევრი ვინანე,
 აწ სიცოცხლე და
 სიკვდილ შეურილმა,
 ვით გილგამეშმა¹ ხიდან-ინანას,²
 უნდა განვდევნო ამზუდივით³
 ყველა სატანა
 და ვით ენქიდუ⁴ ქვესკნელს ჩავიდე,
 ჯერ უხილავი ოქროს ჩანგის
 ამოსატანად.

1959

¹ გილგამეში – შუმერულ-აქადური ეპოსის გმირი, ურუ-
ქის მეფე (XXVII-XXVI სს. წ.წ. წ. აღ.)

² ინანა – გილგამეშის და.

³ ამზუდი – მითური ფრთოსანი (ლომის სახიანი არწი-
ვი).

⁴ ენქიდუ – შუმერების ეპიური სიმღერებისა და აქადუ-
რი ეპოსის გმირი (XXVII-XXVI სს. წ.წ. წ. აღ.).

სიშორით და ღამით მოსილ –

წყვდიადიდან იშვა დილა,

მზე ჩაედგა პირში სულად,

ცა მეჩვენა “დახშულ მტილად”,

სპეტაკ “წყაროდ დაბეჭდულად”.

1961



ეჰ, უსამშობლოდ

მამულზე დარდით სული დაჭკნა,

გული გასივდა,

ვიცინი,

არ მსურს მნახოს მტერმა

ცუდი იერით,

არა და არა!

არ ამოდის თავზე ვირს რქები,

მეუბნებიან:

ეგრისელო!-

ხარ ბედნიერი,

ეჰ, უსამშობლოდ,

ბედნიერი როგორ ვიქნები.

1971

ჩემი ლახი და პელახი

დედამიწა მზით იურვის,
ქამი ბრუნავს
ვით გელაზი,
ყოფნა არის ქვა ნასროლი,
ჩემი ლაზი და პელაზი,
ისეა,
ვით მითიური,
პოლიდეგი და პასტორი.¹

1962

¹ პოლიდეგი და პასტორი – ზეგსის ვაჟიშვილები, (მითიური ტექასცალნი)



ომილება ლაზარე

დასაბამიდან ვიდრე აქამდე,
გამოიარე გზები საზარი,
რადგან უფალი –
მუდამ გყვარობდა,
ვით ენა შენი –
წმინდა ლაზარე,
შენ ხარ მოსული სხვა სამყაროდან.

1979



ცხოვრება თურმა არის გორგილი

სიკვდილის არა,
ჩვენ სიცოცხლის გვადევს
ბორკილი
და როგორც ბრძენი ამბობს ნიზამი:
ყოფნა,
არყოფნის შავი ნისლია,
ცხოვრება თურმე არის სიზმარი,
რომელიც დღემდე,
ვერ აგვიხსნია.

1980



სიცოცხლე კურდღელია

გარბის სიცოცხლე უდღეური

და მისდევს სიკვდილი...

ნათელი —

წყვდიადის მწეარი,

სიცოცხლე —

კურდღელია,

სიკვდილი —

მწევარი.

1961



გერ გამიგია

გაუხედნავმა რემამ დღეების,
ჩამიქროლეს,
ვით ურა ცხენებმა,
არავინ იცის ვისი რიგია!!!
ცხოვრება იყო
თუ მოჩვენება,
რა იყო მაინც,
გერ გამიგია!

2003



დილმუნია

მშობლიური ცის ტაძარში –
 გარსკვლავების ზარს ვარისხებ
 მნათესავით,
 და მსურს ვამცნო მთელ დუნიას,
 რომ შავი ზღვა –
 არის ჩემი ნათესავი,
 კოლხეთი კი –
 დილმუნია.¹

1964

¹ დილმუნია – მითოსური სამოთხის კუნძული,
 საიდანაც მზე ამოდის.



მე ავმაღლდები ხებით განგვას

/დღეები/

გაურანდავი ფიქრთა ლოდებით,
თითქოს ისინი ტაძრებს
აგებენ,
სხედან ქონგურზე... და მაშინებენ,
მე ავმაღლდები წებით
განგების,
როდესაც მოვა დღე საშინელი!

2004



სიჰილა ქართული

უკვდავების ტოტზეა —
შენი სიტყვა ნამყენი,
მიტომ ზარებს არისხებს...
მიტომ ყალყზე აყენებს, —
გრიგალებს და ქარიშხლებს.

1968



ქრისტეს ნიმაში ყოველისას

ალაპი,

გერ შემაყვარეს,

გერც სპარსებმა,

გერც თათრებმა,

ქრისტეს ნიმბში ყოფნისას,

თუმცა ისევ მენატრება

მე “ნათელი სოფლისა!”*

1964

* “ნათელი სოფლისა” – დმკრთი (საბა სვინანგლოზი).



გზაი ჰეშმარიტების

მხოლოდ ერთმა,
 უფალმა
 იცის ათასწლეული
 თუ რამდენი გავიდა,
 რაც მზის ჭუჭრუტანიდან –
 ზესკნელში ვიჭერიტები,
 და იქიდან ნათლად ჩანს
 “გზაი ჰეშმარიტების”.

1964

/P.S. დმერთი ნათელია – პელიოდის უძველეს
 ჰიმნებში და ორფიკულ მითოსში/.



მოგარე

შეუაღამისას ელვის ბაწრით,
ხელები,
კვლავ შეუბორებეს,
დააყენეს ჩრდილი-ორო,
მთვარე მაინც ვარსკვლავების
დიად ორკესტრს,
მოცარტივით,
თავგადაკვლით
დირიჟორობს.


1981



დაპრუნება

რა არის კაცის სიცოცხლე,
ყოფნა,
არყოფნა ტიალი,
და მათზე ფიქრებს ვუნდები,
სულ გარეთ ვიხეტიალე...
ვკვდები და...
მე შინ ვბრუნდები.

2004



პახილი

წარსულიდან ვისმენ ძახილს:

გჰეი!

ვაჟა!

ვაჟა!

ვაჟა!

სულ რომ თოვდა, სულ რომ ცრიდა,

დღეს შენმა მზემ

ირიჟრაჟა, —

დიდი პოეზიის ციდან.

2003



ხმა მეგრული

უნდო ქამმა ხმა –
მეგრული,
მოქარგული ოქრომკედით,
შოორ წარსულში მიავანა,
მაინც მესმით კოლხი დედის –
“გარდონანა”,
“იავნანა”.

2001



ელვის ჯვარცმა

ვითარცა დიდი ვაჟა,
მეც ვეპითხები ტურფა
იას, ჩუმად და მკაცრად:
რატომ მაგონებს უფალს,
მე,
ცაზე ელვის ჯვარცმა.

1959



კალება და ჭურა

ვითარც ბრძანებდა შენიე*

- პოეტი მარტოგულია,

და სადღაც სიკვდილს

მგლები კი

ვაჟ,

რა საზარლად ყმუიან,

ცად კი სიცოცხლის ხეები

დგანან:

პალმა და ტუია.

1960

* რენე შენიე – ფრანგი პოეტი.



მიმწუხრი კი შავ ჯიბეში,
მზეს იდებს,
ვით აბაზიანს,
და დაშვებას ელის ფარდის,
მთვარე თითქოს ჯამბაზია –
ელვის თოკზე
ჩუმად გადის.

1962



ლუციფერის მოჩანს პორცი

მზით ნაჭედი ვარსკვლავების,
 ისევ ადევს
 ცას ბორკილი,
 ლუციფერის* მოჩანს ბორცვი,
 და მოველი მუხლმოყრილი,
 მთვარის მშვილდით –
 სხივთა მტყორცნელს.

1984

* ლუციფერი – ბოროტი დგთაქბა, ეშმაკი



ბეჭი ნათელის სიელგარეში

დგება ნათელი ბნელით შობილი
და მნათობები
თვალებს ახელენ –
წყვდიადისა და ღამის გარეშე,
და იდუმალი მესმის
ძახილი,
ბნელი ნათელის სიელგარეში.

1969



ବୀଠ ଅନ୍ଧା ଏବଂ ଅନ୍ଧମୁଣ୍ଡର

ଗଢ଼ିବା ହେଉଥାଯିଲା
ଦ୍ୟା ମଧ୍ୟରେମା ହେଉ ଗାନ୍ଧିଚାରିଦା,
ବିଷ ରାମା ହେଉ ରାମମୁଣ୍ଡର
ହେଉ ଶାମମା ଗୀର ଗାନ୍ଧିଜୀଲା!
ବାଜାଗ! –
ମେନି ବ୍ୟୁଲିନା –
ଗାନ୍ଧିତିଆଫିସ ନାଟିଲା,
ବୀଠ ହେଉ ମିଛାବ ରାମ ଉପଲିବ.

1994



ნათელმსმენს და ნათელმსილველს

განთიადთან ნაბრძოლ ღამეს,
მარჯვენათი ჩაუბდუჯავს
მთვარე, გორდას¹ ნატეხივით,
და გიკითხავს ვარსკვლავთ გუჯარეს,²
ნათელმსმენს
და ნათელმხილველს.

2002

¹ გორდა – ხმალი

² გუჯარი – ხიგელი, წიგნი.



სამებრელოს მასამა დალაშვილა

ჩინჩხვებიან შავებს იცვამს –

ზუგდიდი და ჯიხასკარი,

მთებს –

შიშისგან გათეთრებულთ,

თეთრი წვერი მოუშვიათ,

კოლხ დედათა ცრემლებია –

ინგირი და

ჩხოუშია.

1993



დღე და დამე შენი ფრთებია,

ხილული სივრცე არა ყოფნის
სურვილს საფრენად,

მიტომაა რომ მზისკენ იურვის –
უსასრულობას შენივთებია,

დღე და დამე კი –
შენი ფრთებია,
მიტომ მიგელის ცა –
კოსმიური.

2003




ჯულისასა

მის შიშით ეზოს —

ჩიტიც ვეღარ გადაუფრენდა,
მაგრამ პატრონმა არ დააფასა,
ამიტომაა ახლა დამ-დამე,
ფეხმოტეხილი ჯუპუს ჯულბასა,
ადამის მოდგმის უდმერთობას
ცას შეღავლავებს.

1957



სიცოცხლით გადაირევი,
ვით პაპის-პაპა
და პაპა,
და ცხრათავიან ბაყბაყ უამს,
ყელშიაც გაეჩხირები
და ვერასოდეს ჩაგყლაპავს.

1994



ჰანები

აღმოსავლეთ –

დასავლეთით,

უამთა წყვდიადს მიფატრავენ,

დღეს “მოძმენი”

მიტომ ჭამენ,

მათ იციან ფიზასიდან – ევფატრამდე –

საცხოვრისი იყო ჭანის.

1961



გადაწვა და გადაბუგა,
მზემ,
დღის ცოდვა ზურგზე იდო,
მთვარეს ფერი ადევს ოხვრის,
მიწა უმზერს –
ზეცის მინდორს,
ვარსკვლავებით გადაცოხნილს.

1962



ჰიპონიმისა და ჰელიონის

ფიქრი ისევ მიაპობს –

ეგეოსის ზღვის ტალღებს,
ოთხი ათასწლეულის მიღმა
ისევ დაემჟებს:

ევბეაზე – ჰელაზგებს-

მეგრულ – ჭანთა წინაპრებს,
რა ქნას,

სანამ, ცოცხალ არს,
სურს, რომ არ

შეელიოს

“ია” ქვეყნის მეფეებს:

ჰიპონიმისა და ჰელიონის.

1970

ზამთარს მისდევს თებერვალი,
კანკალებენ მწვერვალები,
ქარები რომ მთებს ბერავენ,
ცა ფიქრებს რეკს,
როგორც მნათე,
ზამთარს მისდევს თებერვალი
და თოვლის თეთრ კუდს მიათრევს.

1959



სპოლებსა და პაჭანიგებს

საქართველოს ცა და მიწა,
 ხმალთა ელვით
 რომ აიკლეს,
 ახლა ცოდვილთ ხსოვნა უხმობთ –
 სკვითებსა და პაჭანიკებს,
 ნეტავ,
 საით გაყვნენ უხმოდ,
 მზის კუდიან დღეთა ჭინკებს.

1961



შემოურტყამს თბილის მტკვარი

მზე ჩავიდა...

და მიმწუხომა,
გამოაღო მთვარის კარი, –
ცა გამოჩნდა ვარსკვლავებით
დამტკვერილი,
შემოურტყამს თბილისს – მტკვარი,
გორგასალის მოქროვილ
სარტყელივით.

1959




როდესაც ესმა ზეგსის ჭექის ხმა,
გარინდდა სივრცე...
ცამ ღვთისმოშიშმა,
ელვის პირჯვარი გადაისახა,
და სადღაც მზე – მთვარეს ეამბორა,
ღამის საშოში –
ვნახე ვარსკვლავი,
ვით ჩაისახა.

1962



ყოფნა ფლიდია,
არყოფნაა მუდამ ერთგული,
წუთისოფელი,
როგორც ნიკორა,
მიდის სიკვდილის უღელ შებმული
და ჩვენს სიცოცხლეს –
მიიცოხნის.

2001



თამარ მეზის ჯვარი

იყო ჟამი, როცა კოლხეთს,
ცა ფარავდა უკუნი
და იდგა პირს სამარის,
მაგრამ ხობის მონასტერში –
ესვენა რვა საუკუნე
ჯვარი –
მეფე თამარის.

1978



0080

შიში ჩაედგათ თვალებში,
ელგა-ელვას რომ მიება
და ცრემლი მოწყდათ
ფარული,
მორცხვად მიმზერენ იები –
მიწიდან ამოთვალული.

1958



პრეზა, პოლიტიკურის ზე

ვხედავ:

პრეიისტორიის –

უდრანებში დაკარგულ

ოქროს კვირბებს და ვერძებს

და ვფიქრობ მათ მპოვნელზე,

მე კოლხურ სულს დავეძებ –

სადღაც თესალიაში;

კრებტა,

პოლეპონესზე.

1962



მთვარის ჯვარცხა

თეთრი ღამე,
როგორც მახვში,
გარსკვლავების კრილოსანს,
უხმოდ მარცვლავს,
სიმყუდროვით მოთოვლილი,
შემოდგომის ცას ჰეიდია —
მთვარის ჯვარცხა,
ჩამოსაფარდნ —
ლეღვის ყვითელ ფოთოლივით.

1966



გითარც ზღაპარში ღმერთკაც ამირანს,
დევის ქალი რომ
აუგლ-ჩაუგლის,
ასევე ელვა, კლდეზე შემდგარს მივლის
სხვა-ეჭვით,
მთვარე ჰკიდია წელზე, როგორც
ბაწარაული,
ცას –
ხევსურივით, ვარსკვლავებით
სახე დაკეჭნილს.

1962



გაზაფხულის მზე სტყორცნის
ისრებს,
როგორც ამური,
ჩემი ოდის აბარწას,
და ჩემს “კოლხურ ფსალმუნებს”,
აწი ჟამი ვერ გაბაწრავს,
ვით ლერწამს სასალამურებს.

1956



დიდი ქვეყანა კოლხა

უამი მზეს სანთლად უკმევს
 დიდ ჰელიოსის მოდგმას
 და მასთან რკინის მკვნეტავს –
 კორინთოსა და კრეტას
 წარსულიდან რომ მოპქრის
 ქარი –
 მათია ოხვრა
 და წვდება ცხრა ზღვას,
 ცხრა მთას,
 დიდი ქვეყანა კოლხა –
 მეგრთა,
 ჭანთა და სანთა.

1963



საცალფეხო ბილიკებით შიშის,
ჩემი ყოვნა,
როგორც ნისლის ფთილა,
გაუყვება ამაღლების სურვილს,
რიურაუისას,
ვითარცა მზე,
დილას,
ლექსთან ერთად აღმომხდება სული.

1957



შუმარის და აქადის

ისტორიის შოთა გულ
 გზაზე სამოგზაუროდ –
 კოლხეთია –
 ბილეთი,
 ხუთი ათასწლეული დევს იქიდან –
 აქამდი,
 და კოლხურში ხმა ესმის
 შუმერის და აქადის:
 პელანიკე ლესბოსელს,
 და პეპატე მილეთელს.

1964



მთები სიმაღლით დაქანცულები,
როცა ბნელში თავს
 მილად მიდებენ,
აცეკვდებიან ჩანჩქერების ნიამორები,
დუმან ღრუბლების პირამიდები,
და ვარსკვლავები –
მთვარის ბორბალას მიაგორებენ.

1982



კელაზბი და მთრუსპი

ისტორიის უღრანი –

გაკაფეს და შეტრუსეს

და შოორეულ კრეტაზე:

პელაზგი და ეტრუსკი –

ხედავს მზეს.

1964



დეკემბრის დამეს ვეება მთვარე
ამოუჩრია,
მაგრამ ნეტავ რა თავში იხლის,
მიტომაა,
რომ სახე უტირის,
და ალვის ტოტზე მიკრული ჭირხლი,
ყინვას კნავის და იმზირება
კატის კნუტივით.

1959



**არგიშთ პირველი,
სარდურ მაროვ**

გრგვინავს პონტო ევქსინის
 და ზვირთთა ნამსხვრევებში
 ვჭვრეტ შუბოსან მეომრებს,
 ჯერ აქამდე უხილავ,
 ომების ვარ მხილველი:
 დიოხთა ქეყანას ბუგავს
 არგიშთ – პირველი,
 ხოლო კოლხეთს აოხრებს მეფე
 სარდურ – მეორე.

1961



მოკვდავნი ისევე ირევა,
გითარც სკა –
ახალ ნაყარი, –
დღისა და დამის ბნელ ნაპირთან,
უღმერთოდ,
რა არის სამყარო,
ბუნაგი მკვლელთა
და გამპირთა.

1961



სიწყნარეს, აღმომხდარს დაფნიდან
 და სულის ცისიერ
 სავანეს, –
 არა ჩანს ქრისტე რომ დაგვპირდა,
 შოორეულ ვარსკვლავთა
 მღვიმიდან –
 ლოცვის ხმა მოისმის წარმართთა,
 ერთი,
 მთვარე ჰყავდათ პოეტებს
 იმედად
 და ისიც ასტროლოგებმა წაართვეს.

2000


დედა კეთილი და ღვთისმოშიში,
უფლის სიყვარულს
შთამაგონებდა
ყმაწვილს... და ახლაც მის ნებას
გასრულებ:
ლოცვას აღვავლენ მუხლმოყრილი
მაცხოვრის ფერხთით,
რადგან სამყაროს არა აქვს სასრული,
ცის უსასრულობაა —
ღმერთი.

1964



თანმდევი,
და მარად უკვდავი,
ვარდისფერ იმედთა მთოვარი
წინაპრის სულები –
ქცეული სინათლედ,
დღისით – მზით,
და ღამით მთოვარით,
ეძახის პოეტებს –
ვარსკვლავთა ბინადრებს.

1997



ისეგ ქარი და წვიმა
და მიდის ბრძოლა ორთა,
ბნელში ზვირთები ყრია,
ზღვა ნერვიულობს წყვდიადს
და სცემს ნაპირზე ბოლთას.

1961



მზითგად ატანს პილიკიას

გადახედეთ ჩვენს დიდ წარსულს –
 ეს ცხოვრება განა მართლა,
 მასხობა და ქილიკია,
 სარგონ მეფე,
 ულამაზეს თავის ასულს,
 მოსხ სასიძოს აძლევს – ამრის,
 მზითგად ატანს კილიკიას.

1967



პოეტებმა დღე – დამის ეტლს რაშებად
მზე და მოვარე,
კა, რამდენჯერ შეუბეს,
მაგრამ სულ სხვა იყო ვაჟა,
ლექსის გაჟერაცს ედგა პაჟად*,
ქართულ სიტყვის მეუფე.

1998

* პაჟი – (ფრანგ.) მსახური რაინდი.



ზღვის ლურჯ არქიპელაგზე

ადრე,
შორს ეგეოსის,
ზღვის ლურჯ არქიპელაგზე
და მიწაზე ელადის,
ჩემი ლაზი წინაპრის,
წინაპარი პელაზგი,
თურმე მტერს მიბელავდა,
ვით უებრო ბელადი.

1968



სადღაც ძერა ცის სიღრმეში,
ფრთებს კვლავ უსვამს
ნიჩბებივით...
და ნაპირთან ერთი ტალღა ისევ მრუშობს,
ქარი
კი ზღვას ნამტირალევ სველ თვალებზე,
ცრემლები რომ ამოუშროს,
თოლიების თეთრ ცხვირსახოცს ამოუსვამს.

1981



გადმომდგარან ცის ლურჯ აიგნიდან –
მთიები –
როგორც კარისკაცები,
სხივთა ბაფთებით და მაქმანებით –
მოფრინდებიან ანგელოზები,
ჩემს კუბოს –
ფრთებით აიტაცებენ
და სამოთხისკენ გააქანებენ.

2003



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
*** ერთურთს სდევენ	25
იმედი	26
*** გაიელვა მეტეორმა	27
პატარა ტალღა	28
33	29
8000	30
ჩვენი სულის საფლავი	31
მაშინ შავი ზღვა	32
დედამოკა	33
დავით აღმაშენებელი	34
*** ჩემი სამეგრელოს მთები	35
ვარსკვლავების ნიაღვარი	36
კვირტი	37
კოლხი და ფშაველი	38
ცას და მიწას შევეხიდე	39
სანებს, სანიკებს, სუბარებს	40
ხიროსიმა	41
ვით ფშავი კიკლოპი	42
გაზაფხული	43

ლაქო	44
*** შიშის ტოტზე	45
შენს ნაწილზე	46
ოცნების ქალაქი	47
ცა – სამარეა თამარის	48
ქირონი	49
ვითარც დავითს	50
არც ხეთები არც ხათები	51
მეფე კარა – ინდაში	52
მზე ადგას ღამის სამზეოს	53
*** დღეს საქართველო	54
ვეღარ ვიხსენებ	55
პერაკლევებად და თეზევსებად	56
*** შავი დღეების მდინარეებმა	57
წამოწოლილ ბუმბერაზ	58
*** თან დამდევს და ბედისწერა	59
*** ბარები და ნიჩბები	60
შენი ლექსების სასახლე	61
მირაბოს ხიდი	62
*** საუკუნეთა ჯებირები	63
გმაღლდები მთვარისკენ	64
როგორც გოეთეს	65
ქრიან საუკუნენი	66

არც ფრიქსე ჩანს არც	67
სიამაყე და სიბრძნე	68
*** წელში მოხრილი და	69
ენდელები და იები	70
ქართული სიტყვა	71
მითრა	72
მთვარე თითქოს და	73
*** ნათელმსმენს და	74
როგორ დიდი მტბევარი	75
ვარსკვლავების ესკადრილია	76
ვით დამოკლეს მახვილი	77
*** ვენახს	78
გვიახლოვდება იგი	79
*** უღმერთო და ურწმუნონი	80
მზეა შენი აურა	81
მდუმარ ცეცხლთა სვეტები	82
შექსპირს ცოდვა აწევს	83
წინაპრის სულები	84
შავ ზღვას ფერი აქვს	85
შენც ცა გელის ფარულად	86
მზე იხრჩობა როგორც	87
*** მეხით დამფრთხალი	88
ფ ი ქ რ ი	89

*** დრო იყო	90
დამის ორკესტრი	91
სულ გარეთ დავეხეტები	92
ვით ტიტანიკი	93
ჭეშმარიტება	94
სილამაზე არის თურმე	95
ყოფნა მარადიული	96
ცნობადის ხის მტევნები	97
ვარსკვლავების ოქროს	98
ვით დიადი ზესთაზე	99
ცამ გააკრა ბეჭზე მიწა	100
შენც შვილი ხარ	101
შვიდი შვიდფერი აურა	102
8300	103
უამი	104
*** ელვის ნათელზე ლეგა	105
მუტრიბნი და შაირმთხზელნი	106
ამობრწყინდება	107
მთვარის თეთრი ფარდა	108
ზარს ვარისხებ როგორც	109
სიკვდილს ბარდება	110
*** ვითარცა აღრე	111
პილატეს და პეროდეს	112

მოწყენილი მიმზერს ქრისტე	113
დელვა	114
*** ვწუხვარ ვითარცა	115
*** რა ვქნა	116
*** შერის და მტრობის ისრებს	117
*** საუკუნის ბნელი აწევს	118
*** სანაპიროზე სხედან ლოდები	119
*** მიიწევა მაღლა მთები	120
ეკრიპიდე	121
*** შორეული წარსულიდან	122
ილოსი	123
გარსკვლაგების უსმენს	124
თუკი	125
მეორედ მოსვლა	126
კოხტაგორა	127
აქ, მეტებთან	128
*** დუმილის ფოთლები	129
მთიები	130
ქრისტეს კვართით ნაშობი	131
მთვარის ნავი	132
*** ზღვა	133
ქ!	134
მესხეთის მთები	135

გრაალის თასი	136
მეფეთ-მეფე დავით	137
ბნელი ნათელის სიელვარეში	138
ნაშიერებს ქაოსის	139
ნანა	140
ჩემი კოლხეთი	141
შიში და ერესი	142
გრიგოლ ხანძთელი	143
წარსულის სტუმარი	144
ფიქრების ფანქრები	145
ბიბლიის ზღვაში	146
ვით ეკლესიასტეს	147
ზეცის ავან-ჩავანი	148
შურუფაქის, ქიშის, ურის	149
*** ცა მედახის ციხიერს	150
კოლხო	151
კავკასიონი და მყინვარი	152
ერებეთი	153
უმიზეზოდ	154
მზის მაღალი სათავე	155
იო	156
ზაურ ბოლქვაძეს	157
ღრუბლების ცუნამი	158

პლანეტა დიდი და უსახელო	159
*** ცის უდაბნოში	160
გული	161
მარსის ველი და ჭალა არქის	162
რა ქნას დავითმა	163
MORGANA	164
ვიხა რომა	165
მივალ დამეში	166
*** ხმა მესმის თურქთა	167
ქსენოფონტე	168
დამე მესხეთში	169
რკინის ბეჭედი	170
უსენი	171
*** მხოლოდ პოეტი...	172
სამშობლოვ – ჩემო	173
მოვარის ნატეხი	174
თუთარჩელა	175
*** ვით წინათ	176
ჯიქები და ანთები	177
დამის დარდში გახვეული	178
გიხმობს პოსეიდონი	179
პვლავ უცილება პეტრუსას	180
ხალიბებს და მაკრელებს	181

სატანას და ბარაბას	182
მწყემსი კეთილი	183
მზის ჩასვლა	184
ბრძოლით დაღლილი	185
ვითარც ენქიდუ ქვესკნელს	186
*** სიშორით და ღამით	187
ეჭ უსამშობლოდ	188
ჩემი ლაზი და პელაზგი	189
წმინდა ლაზარე	190
ცხოვრება თურმე	191
სიცოცხლე კურდღელია	192
ვერ გამიგია	193
დილმუნია	194
მე ავმაღლდები ნებით	195
სიტყვა ქართული	196
ქრისტეს ნიმბში	197
გზაი ჰეშმარიტების	198
მოვარე	199
დაბრუნება	200
ძახილი	201
ხმა მეგრული	202
ელვის ჯვარცმა	203
პალმა და ტუია	204

*** მიმწუხრი კი შავ	205
ლუციფერის მოჩანს	206
ბნელი ნათელის	207
ვით რომა და რომული	208
ნათელმსმენს და	209
სამეგრელოს მესამე	210
დღე და ღამე შენი ფრთებია	211
ჯულბასა	212
*** სიცოცხლით გადაირევი	213
ჭანები	214
*** გადაწვა და გადაბუგა	215
ჰიპონისა და ჰელიოსს	216
*** ზამთარს მისდევს	217
სკვითებსა და პაჭანიკებს	218
შემოურტყამს თბილისს	219
*** როდესაც ესმა ზევსის	220
*** ყოფნა ფლიდია	221
თამარ მეფის ჯვარი	222
იები	223
კრეტა პოლეპონესზე	224
მთვარის ჯვარცმა	225
*** ვითარც ზღაპარში	226
*** გაზაფხულის მზე	227

დიდი ქვეყანა კოლხა	228
*** საცალფეხო ბილიკებით	229
შუმერის და აქადის	230
*** მთები სიმაღლით	231
პელაზგი და ეტრუსკი	232
*** დეკემბრის დამეს	233
არგიშით პირველი სარდურ	234
*** მოკვდავნი ისევე ირევა	235
*** სიწყნარეს აღმომხდარს	236
*** დედა კეთილი და	237
*** თანმდევი	238
*** ისევ ქარი და წვიმა	239
მზითვად ატანს კილიკიას	240
*** პოეტებმა დღე – დამის	241
ზღვის ლურჯ არქიპელაგზე	242
*** სადღაც ძერა ცის სიღრმეში...	243
*** გადმომდგარან ცის	244

ვაჟა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 35

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 35

- | | |
|---------------------|----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – დაჩი ღოლგაია |
| მხატვარი | – სპართაგ ციცაძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი შვიერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუმბაძე |
| კორექტორი | – ნინო ბერიძე |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა ჭა დათო ყაფაშვილები |
| გამომცემელი | – ზურაბ ღოლგაია |
| ფასი 20 ლარი | |

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოსანის №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversalis@gmail.com